

Հայաստանի

Կոնգրես -

Գրասենյակ

1. Ներքին գործեր
2. ԶԶՆ և մարտահրավերներ
3. Լուսինյան անապատի շրջանակներ
4. Ինչպես և ուր
5. ՅՈՒՆԵՍԿՕ և ՆԱՏՕ-ի օգնություն
6. Կրթության և գիտության միջոցներ
7. Գրքեր - ձեռնարկներ և թղթեր
8. Զինվորական և քաղաքացիական
9. Ինչպես և ուր
10. Կրթության և գիտության միջոցներ

1630 1630

6-36/200


2350 10/2/71



საფრანგეთის დიდი რევოლუციონია

ვიგნი პირველი

(1789—1792)



თბილისი
სტამბა გრ. ჩარკვიანისა. მიხეილის პრ., სახლი № 62.

1906

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го марта 1906 г.


შემდგენელისაგან.



„საფრანგეთის დიდი რევოლუცია“ ფელეტონებად იბეჭდებოდა „ცნობის ფურცელში“. რადგან ქართულად თითქმის არაფერი არ დაწერილა ამ შესანიშნავ ხანაზე, შეტად არ მავიჩნიეთ იმ ფელეტონების ცალკე წიგნაკებად გამოცემა. ახლო მომავალში ვეცდებით მეორე წიგნაკის გამოცემასაც.

ამ მოკლე ისტორიის შედგენის დროს უმთავრესად ვიღებდეთ ბლოსისა და ოლარის ცნობილ წიგნებით ესარგებლობდით.

გ. ლ.



ბასტადია.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია.

რას წარმოადგენს დღევანდელი საფრანგეთი, ეს, ალბად, ბევრმა იცის. მარტო გაზეთის მკითხველიც კი შეიტყობდა, რომ ევროპაში საფრანგეთი ერთად-ერთი დიდი სახელმწიფოა, სადაც მეფე არ არის, სადაც თავისუფლება და თანასწორობაა გამეფებული, სადაც ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს და მართველებს, სადაც განათლება, კულტურა უმაღლეს ხარისხამდეა განვითარებული. რასაკვირველია, დღევანდელი საფრანგეთი ამ ქვეყნიური სამოთხე არ არის, იქაც ბევრი რამ ცუდი

ხდება, სიმართლე და სამართალი იქაც ილახება ხოლმე, მაგრამ საფრანგეთს თუ ევროპის სხვა სახელმწიფოებს შევადარებთ, მისს უპირატესობას ყველა თვალნათლივ დავინახავთ.

აიღეთ რომელი სახელმწიფოც გინდათ ევროპაში— ყველგან დღემდე ჩამომავლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ყველგან წარჩინებული ჩამომავლობა უპირატესობას ანიჭებს ჩამომავალს და, მაშასადამე, თანასწორობის პრინციპიც ვერ არის განხორციელებული. საფრანგეთში ვგრე არ არის: საფრანგეთის რესპუბლიკის ეხლანდელი პრეზიდენტი, ე. ი. პირველი წარმომადგენელი სახელმწიფოსი, სწორი თავის მდგომარეობით ევროპის ყველა გვირგვინოსნებისა, სულ უბრალო კაცის შვილია; მოხუცი დედა მისი, რომელიც ეხლახან გარდაიცვალა, უკანასკნელ დღემდე თავის პატარა მამულში ცხოვრობდა და ქათმებსა და იხვებს უფლიდა, როგორც უბრალო გლეხის ქვრივი; მისი შვილი კი ამ დროს უძლიერეს სახელმწიფოს მეთაური იყო, როგორც სწორი სწორს ძლიერ გვირგვინოსნებს მასპინძლობდა ან თვითონ სტუმრობდა. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი „ნებიითა ღვთისათა“ მირონცხებული არ არის, ის არის არჩეული „ნებიითა ხალხისათა“ და ხვალ, როცა ხალხის ეს ნება მეორე თავის შვილს არჩევს, ლუბე ისეთივე უბრალო მოქალაქე იქნება, როგორც ყოველი ფრანგი, არც მეტი, არც ნაკლები.

ვიმეორებ, ყველა ეს მარტო გაზეთის მკითხველსაც კი ეცოდინება; მაგრამ, შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რა გზით მიაღწია საფრანგეთმა დღევანდელ მდგომარეობას. მართლაც, იმ თავითვე ხომ არ ყოფილა საფრანგეთი ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო. დიდი,

უდიდესი ბრძოლა დასჭირდა საფრანგეთის ერს განთავისუფლებისა და დღევანდელ მდგომარეობის მოპოებისათვის. ამ ბრძოლის ისტორია ყველასათვის მეტად საგულისხმიეროა, ჭკუის მასწავლებელია და მეტი არ იქნება ჩვენმა მკითხველმაც შეიტყოს იგი. მაგრამ ჯერ მოკლედ დავახასიათოთ ძველი საფრანგეთი.

ძველი საფრანგეთი.

დიდ რევოლიუციამდე, ე. ი. 1789 წლამდე, საფრანგეთი ძალიან ბევრში ჰგავდა ეხლანდელ რუსეთს, თუმცა, რასაკვირველია, განსხვავებაც იყო.

საფრანგეთს სათავეში უდგა თვითმპყრობელი მეფე, რომელსაც მორჩილებდა ყოველი ფრანგი, დიდი და პატარა, ერის კაცი და სასულიერო წოდებისა. საფრანგეთის მეფეს ლუი მეოთხემეტეს უთქვამს— „სახელმწიფო მე ვარო“ და ეს მართლაც ეგრე იყო: მეფის სურვილი და ბრძანება ყველასთვის კანონი იყო. მართალია, იყო საფრანგეთში ეგრედ წოდებული პარლამენტები— უმაღლესი სასამართლო დაწესებულებანი (ეხლანდელ პარლამენტთან არაფერი არა აქვს საერთო) და ეს დაწესებულება ვითომ მეფის თვითმპყრობელობას ცოტათი ზღუდავდა, მაგრამ ნამდვილად კი ეგრე არ იყო: წესით, მეფის ყოველი ბრძანება უთუოდ პარლამენტს უნდა ჩაეწერა თავის წიგნებში, რომ კანონის ძალა მისცემოდა, მაგრამ თუ პარლამენტი გაჯიუტდებოდა და არ ისურვებდა მეფის ბრძანების წიგნში შეტანას, ორის სხდომის შემდეგ მეფეს შეეძლო თავის ბრძანებით ჩაეწერინებინა,

რაც სურდა; ხშირად ჯიუტ პარლამენტის წევრებს ერთის ქალაქიდან მეორეში გადასახლებდა. ეს ერთი. მეორეც ის არის, რომ პარლამენტის წევრები, თავად-ახუნაურობის შემდეგ, წარჩინებულ წოდებას ეკუთვნოდნენ და მხოლოდ მაშინ ამოიღებდნენ ხმას, თუ მეფის რომელიმე ბრძანება მათთვის იყო საზარალო; ისე კი პარლამენტი სრულიად არ ყოფილა მოსურნე მეფის უფლებათა შეკვეცისა.

ერთის სიტყვით, ძველ საფრანგეთში მეფე სრული ბატონი იყო ყველა ქვეშევრდომისა, ხანგარიშის მომთხოვი არავინ ჰყავდა, ნება და სურვილი მისი კანონი იყო ყოველ ფრანგისათვის. და რაკი მეფეს ასეთი განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა, ძველ საფრანგეთში არ არსებობდა ეგრედ წოდებული პირადი თავისუფლება: ყველას უნდა ჰქონებოდა შიში, რომ დღეს თუ ხვალ მეფის მთავრობის ბრძანებით სატყუსალოში, საშინელეებით განთქმულ ბასტილიაში ამოჰყოფდა თავს განუსჯელად, საქმის გამოუძიებლად. მეფის სასახლე და ახლობელნი პირნი ხშირად სარგებლობდნენ ამითი, რომ არასასიამოვნო პირნი თავიდან მოეშორებინათ; და ვინც ერთხელ მოხვდებოდა ბასტილიაში, იქიდან გამოსვლა იშვიათის ბედის პატრონს თუ ეღირსებოდა. ვინც კი რაიმე ნაკლებე გაბედულად მიუთითებდა მთავრობას და ან თუ მწერალი ცოტა თავისუფლად დაიწყებდა წერას, ერთი-ც და მეორეც უთუოდ მზად უნდა ყოფილიყო ბასტილიისათვის. წელიწადები ისხდნენ საპატიმროში, აქვე კვდებოდნენ, მაგრამ გამკითხავი არავინ იყო. მეფე თვითმპყრობელი და მისი ახლობელნი არავის წინაშე არ აგებენ პასუხს და ეს არის, რომ პირად თავისუფლებას, რომელიც ერთად ერთი უზრუნველყოფე-

ლი ღონისძიება ელემენტალურ, ე. ი. სულ უბრალო სამართლისა, ადგილი არა აქვს თვითმპყრობელ სამეფოში.

თუ სახელმწიფო მეფე იყო, სახელმწიფოს შემოსავალიც მეფის შემოსავალი იყო—თავის სურვილისამებრ ხმარობდა და ანგარიშს არავის აძლევდა: ხალხი შრომით წელში იწყვიტებოდა, სახელმწიფოს გადასახადს აძლევდა, რომ ამ სახელმწიფოს მისთვის დახმარება აღმოეჩინა, მძიმე მდგომარეობა შეემსუბუქებინა; მეფე კი ხალხის ფულით ბრწყინვალე სასახლეებს აგებდა, მის მასიამოვნებელ კარისკაცებს დიდ-დიდ ჯამაგირებს აძლევდა, მეზობელ სახელმწიფოებს ეომებოდა და ხალხის უსარგებლოდ ხალხისავე შვილების სისხლს ღვრიდა.

ვინ უნდა ყოფილიყო მაღლიერი ან კმაყოფილი ასეთ ბატონისა? მხოლოდ ის, ვინც ვერ გრძნობდა მის ბატონობის სიმძიმეს, არა თუ ვერ გრძნობდა, სარგებლობდა კიდევ თავის საკუთარ კეთილდღეობისათვის. ძველ საფრანგეთში ორი წოდება იყო კმაყოფილი არსებულ წესწყობილებისა—სასულიერო წოდება და თავად-აზნაურობა.

საფრანგეთის სასულიერო წოდება იმ თავითვე მეტად მდიდარი და გავლენიანი იყო. მეთვრამეტე საუკუნეში სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა თითქმის მეოთხედი მთელის საფრანგეთის მიწისა, რაც ას მილიონ შემოსავალს აძლევდა; მისივე იყო ათისთავი ყველა ფრანგების შემოსავლისა, რასაც ოცდასამ მილიონზე მეტი შემოჰქონდა, ამასთან მთელი სასულიერო წოდება ქრულიად თავისუფალი იყო ყოველ გადასახადისაგან და, თუ აძლევდა რამეს სახელმწიფოს, ისიც გაჭირვების დროს და თავისის ნებითა და სურვილით: სახელმწიფო ვერ გააწერდა

მას გადასახადს. თავისუფლად, უზრუნველად და მხიარულად სცხოვრობდა საფრანგეთის სასულიერო წოდება ამოდენა შემოსავლით; მაგრამ ასეთი ცხოვრება უფრო მაღალ სასულიერო პირებს ჰქონდათ; სოფლის უბრალო მღვდელი კი, რომელიც გვერდით უდგა სოფლელ გლეხს, მეტად მცირე ჯამაგირს იღებდა და თავის ბედის კმაყოფილი არ ყოფილა. ამიტომაც მოხდა, რომ როცა მოთმინებიდან გამოსული ხალხი ადგა და დაიწყო დიდი რევოლუცია, ბევრი სასულიერო პირი ხალხის მხარეზე იბრძოდა მტარვალების წინააღმდეგ.

ფუფუნებაში და განცხრომაში მცხოვრები მაღალი სასულიერო პირები ვერც მორწმუნეობას დაიჩემებდნენ; მათ შორის მეტად გავრცელებული იყო ნამდვილი ურწმუნოება; დასცინოდნენ მორწმუნე გულ-უბრყვილო ხალხს, გამობდნენ თავიანთ ღმერთს, რასაკვირველია, არა ხალხის წინაშე; მაგრამ გაბედავდა თუ არა ვინმე ერის კაცი თავისუფალ აზრის საჯაროდ წარმოთქმას, ერთს აურზაურს ასტეხდნენ და მანამ არ მოისვენებდნენ, სანამ ასეთ თავისუფალ მოაზრეს მთავრობას სასტიკად არ დაასჯევინებდნენ.

არც თავად-აზნაურობას ჰქონდა გაჭირვებული ცხოვრება. თითქმის ნახევარი მიწა საფრანგეთისა თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენდა და ამასთან თითქმის სრულიად თავისუფალი იყო ყოველ გადასახადისაგან; გარდა ამისა, ყოველი მაღალი თანამდებობა სახელმწიფოში მხოლოდ მის ხელში იყო; ვინც ამ წოდებას არ ეკუთვნოდა, ვერ ეღირსებოდა კარგ ადგილს ვერც სამხედრო და ვერც სასულიერო უწყებაში. ერთის სიტყვით, ბომარშესი არ იყოს, თავადს ან აზნაურს ერთი „შრომალა“ სჭირდებოდა ამ ქვეყნიურ ტკბილ ცხოვრე-

ბისათვის—დაბადება. ამ დაბადებით, ჩამომავლობით ამა-
ყი თავადი თუ აზნაური ზიზლით უყურებდა „დაბალ“
ჩამომავლობის ხალხს, მათ შრომასა და ხელობას.

სასულიერო წოდებასა და თავად-აზნაურობას ეკუ-
თვნოდა ორი მესამედი მთელის საფრანგეთისა და სახელ-
მწიფოს სასარგებლოდ-კი თითქმის არას იხდიდნენ, იმ
სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომელიც ანიჭებდა მათ
ასეთ უზრუნველ ცხოვრებას.

მაშ რად არ იქნებოდა ეს ორი წოდება მომხრე
და დამცველი ძველის წესწყობილებისა? მართალია, თა-
ვად-აზნაურობის განათლებულ წრეებიდან და ზოგი სა-
სულიეროდანაც გამოვიდნენ შესანიშნავი მოღვაწენი
დიდის რევოლიუციისა, ამ მოღვაწეთ დიდი სამსახური
გაუწიეს ხალხს, მაგრამ ეს კერძო პირები იყვნენ. რო-
გორც წოდება-კი თავად-აზნაურობაცა და სასულიეროც
მტკიცედ იცავდა არსებულ სახელმწიფოს და მის წეს-
წყობილებას.

სულ ორივე წოდება მეთვრამეტე საუკუნის გა-
სულს შეადგენდა დაახლოვებით 270,000 სულს, დანარ-
ჩენ ხალხს, ე. ი. 24 მილიონ სულს, ეკუთვნოდა სულ
ერთი მესამედი მთელის საფრანგეთისა. და ეს ამოდენა
ხალხი, მაშინ მესამე წოდებად მონათლული, იძულებუ-
ლი იყო ეშრომნა და ეწვალა უმაღურ სახელმწიფოსა
და ორ უქმ წოდების შესანახად და გამოსაკვებად. განა
გასაკვირველია, რომ ეს მესამე წოდება მეტად უკმაყო-
ფილო ყოფილიყო თავის მდგომარეობისა?

მაგრამ რას წარმოადგენდა იმ დროს ეს მესამე
წოდება, ან რა ნაწილებისაგან შესდგებოდა იგი?

დღეს მესამე წოდებას ვაჭარ-მრეწველთა კლასს
ეძახიან; იმ დროს-კი სულ სხვა იყო: ვინც არც სასუ-

ლიერო პირი იყო, არც აზნაური და სახელმწიფოს გადასახადს აძლევდა, ყველა მესამე წოდებას ეკუთვნოდა; მაგრამ ეს იმის მაჩვენებელი-კი არ არის, რომ ამ მესამე წოდების ყველა შემადგენელი ნაწილი ერთნაირ მდგომარეობაში იყო. აქ იყვნენ ქონებით ღონიერი და გონებით განათლებული ვაჭარ-მრეწველნი, ეხლა რომ ბურჟუაზიას ეძახიან, აქვე იყვნენ წვრილი ხელოსან-ვაჭრები; ამავე წოდებას აკუთვნებდნენ ქალაქის მუშებსა და სოფლელ გლეხებსაც. განსხვავება ამ წოდების ნაწილებ შორის დიდი იყო, მაგრამ ერთი რამ აერთებდა მათ— მძულვარება არსებულ წეს-წყობილებისადმი; ამიტომაც, როცა დრო დადგა, შეერთებულის ძალ-ღონით შეებრძოლენ მთავრობის მტარვალობასა და ორ წარჩინებულ წოდების უქმობა-მცონარეობას და ამ შეერთებულის ძალღონით საბოლოოდ ძირს დასცეს ძველი, უსამართლობაზე დამყარებული წესწყობილება.

მდიდარი და განათლებული ბურჟუაზია შურის თვალით უცქეროდა თავად-აზნაურობის წარჩინებულობას, უპირატესობას და სულით და გულით მოწადინებული იყო დაემხო ამაყი არისტოკრატია და მისი მფარველი მთავრობა. ბურჟუაზია ვერ ურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ მის წარმომადგენლებს, რომელნიც სიმდიდრითა და განათლებით წინ თუ იყვნენ, თორემ არ ჩამოურჩებოდნენ თავად-აზნაურობას, არავითარი წილი არ ჰქონდათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში და სულ უკანასკნელ აზნაურისათვის, როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყველგან და ყოველთვის გზა უნდა დაეთმოთ.

გარდა ამისა თვით ვაჭრობა-მრეწველობაც მეტად შევიწროვებული იყო ცუდის მთავრობის მიზეზით: ყვე-

ლამ იცის, რომ ვაჭრობა-მრეწველობას ეჭირვება მშვიდობიანი ცხოვრება და თავისუფლება. საფრანგეთის მეფენი ხშირად ომობდნენ და საქონლის წარმოებაც შეზღუდული იყო: საფრანგეთის მაშინდელი მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ მრეწველობის განვითარებას სასტიკი ზედამხედველობა და მზრუნველობა სჭირდებოდა: თვით მრეწველი ყველაფერს გააფუჭებს, მთავრობამ უნდა უჩვენოს, რა საქონელი გააკეთოს, როგორის ღირსებისა და ღირებულობისაო. მთავრობის ასეთი მზრუნველობა იქამდე მიდიოდა, რომ, მაგალითად, ყოველმატერიის სიგრძე-სიგანე წინაღვე იყო განსაზღვრული; და თუ რომელიმე მრეწველი გაბედავდა უფრო განიერის ან გრძელის მატერიის გაკეთებას, მთავრობის მიერ დანიშნული ზედამხედველი მოსჭრიდა ზედ-მეტ ნაწილს და ან გადაუყრიდა ან დაუწვავდა. ასეთ პირობებში მრეწველობის განვითარება მეტად ძნელია, თუ შეუძლებელია, და ამიტომაც ბურჟუაზიის უკმაყოფილება კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

ასევე ხელ-ფეხ შეკრული იყო მთავრობის „მზრუნველობით“ წვრილი მრეწველი და საქმის პატრონი ხელოსანი.

ბევრად უარესი იყო, რასაკვირველია, ქირის მუშის მდგომარეობა: ქირა სულ მცირე იყო და თან მუშას არავითარი საშუალება არ ჰქონდა თავის დაცვისა, აუტანელ მდგომარეობის გაუმჯობესებისა. დღეს ევროპის მუშას შეუძლია სხვა მუშებთან თავისუფლად შეერთდეს საზოგადო ინტერესების დასაცველად და, როგორც ვიცით, ნელ-ნელა იუმჯობესებს კიდევ ცხოვრების პირობებს. ძველ საფრანგეთში კი ეს შეუძლებელი იყო და, თუ მუშები გაბედავდნენ შეერთებას და სცდიდნენ

თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობის ცოტათი შემსუბუქებას, სასტიკი სასჯელი მოელოდათ პოლიციისაგან. იმ დროინდელი მუშაც გრძობდა, რომ აქ მისი მტერი მარტო მთავრობა და მისი ხელქვეითი პოლიცია არ იყო, მაგრამ როცა ბურჟუაზიამ ბრძოლა გამოუცხადა მთავრობას, მუშა თავდადებული მებრძოლი იყო საერთო მტრის წინააღმდეგ: თვითმპყრობელობა ანუ აბსოლუტიზმში საშინელ მაკლავუნასავით სულს უხუთავდა მთელ მესამე წოდებას, რომელშიაც იყო ეხლა მეოთხე კლასად წოდებული მუშა ხალხიც.

საფრანგეთის ერის უდიდეს ნაწილს გლახობა შეადგენდა (დღესაც შეადგენს) და ეს გლახობა იყო, რომ სხვებზე უფრო იტანჯებოდა არსებულ წეს-წყობილებით. მართალია, ძველი ბატონყმობა იურიდიულად თითქმის სულ აღარ იყო საფრანგეთში—გლახი პირადათ თავისუფალი იყო, მაგრამ ნამდვილად-კი მისი მდგომარეობა ყმისას ბევრით არ სჯობდა. მთელ საფრანგეთში, გარდა მცირე ნაწილისა, ყველგან დიდი მემამულენი და სულ წვრილი მესაკუთრენი იყვნენ, და ეს წვრილი საკუთრებაც სულ პატარა ნაჭრებად იყო დაყოფილი და, ვინ იცის, რამდენ ადგილას მდებარეობდა. პირად-თ ვითომ თავისუფალი გლახი ნამდვილად ყურმოჭრილი ყმა უნდა ყოფილიყო მებატონისა, თუ უნდოდა ამ ქვეყნად ბოგინი: ბატონის ხელში იყო მიწაც, სამართალიც და პოლიციაც; გლახი მასთან კრინტს ვერ დასძრავდა, როგორც არ უნდა მოქცეოდა. შემოსავლის ერთი წილი სასულიერო წოდებისათვის უნდა მიეცა, მეორე მებატონისათვის, მესამე სახელმწიფოსათვის; ბატონყმობა აღარ იყო, მაგრამ ბატონყმობის დროის სხვა-და-სხვა გადასახადი და სამსახური ბატონისა

იმდენი იყო კიდევ დარჩენილი, რომ მარტო ეს კმაროდა გლეხის წელში გასაწყვეტად. ერთი უცნაური წესი იყო კიდევ, გლეხის უკიდურეს გაჭირვებას რომ უფრო ამწვავებდა—საბაჟოები: გლეხს მოწვეულ პურის გაყიდვა რომ მოენდომები ა რომელსამე ქალაქში, გზაზე რამდენიმე საბაჟოზე ბაჟი უნდა გადაეხადა თუ მემამულის, თუ ქალაქის სასარგებლოდ, ისე გზაზე არავინ გაატარებდა. ამას დაუმატეთ არა პირდაპირი გადასახადები, მათ შორის ყველაზე უფრო საგრძნობელი მარილის გადასახადი და ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ იმ დროის საფრანგეთის გლეხის ყოვლად აუტანელი მდგომარეობა. ბევრგან მუდმივი შიმშილობა იყო გამეფებული. მაშინდელი გლეხი თითქმის პირუტყვულ ცხოვრებას ატარებდა, მით უფრო, რომ სწავლისა არაფერი გაეგებოდა: მთავრობა და გაბატონებული წარჩინებული წოდებანი სრულიად არ ჰფიქრობდნენ განათლების, ცოდნის სხივი შეეტანათ ყოველის მხრით უბედურ გლეხებ შორის—განათლების სხივი განთავისუფლების მომასწავებელია, შეგნებული გლეხი ვერ აიტანს პირუტყვულ არსებობას და ასე თუ ისე ეცდება თავი დაახწიოს მას. უვიცი, ლატაკი გლეხი საფრანგეთისა დიდხანს მოთმინებით იტანდა თავის აუწერელ ბეჩავ ცხოვრებას, ეგონა არსებული წესი განგებისაგან იყო დაწესებული; მაგრამ ბოლოს შეგნებამ მის ბნელ და მძიმე გონებაშიც შეანათა და გამოათხიზლა; რაც უფრო მატულობდა გაჭირვება, მით უფრო მალე აღწევდა გლეხი თავს ძველ მონურ მორჩილებას, მით უფრო მალე რწმუნდებოდა არსებულ პირობების უსამართლობაში.

ხალხის ამ გამოღვიძებასა და გამოთხიზლებას დი-

დათ შეუწყვეს ხელი იმ დროის შესანიშნავმა მწერლებმა და მოაზრებმა.

თვითმპყრობელი ხალხის ინტერესების არ მიმხედვადი მეფე, თვითნება აღვირ-აშვებული ადმინისტრაცია, უქმი, სხვის შრომით და ოფლით მცხოვრები გაამაყებული წარჩინებულები, ასევე უქმი, ხალხის ფულით განცხრომაში მცხოვრები სასულიერო წოდება, ადამიანობის დამამცირებელი მდგომარეობა ხარჯების ერთად-ერთ გამღებ მესამე წოდებისა, ვაჭრობა-მრეწველობის შევიწროვებული მდგომარეობა, მუშებისა და გლეხების უკიდურესი სიღატაკე და სრული უმწეობა წინაშე მთავრობისა და წარჩინებულებისა—აი ის დამუშავებული ნაყოფიერი ნიადაგი, რომელზედაც მუშაობდნენ 18 საუკუნის განთქმული მწერლები და მოაზრენი.

მითვრამეთუ საუკუნის მოაზრენი და მწერლები.

ხშირად არის, რომ ხალხი მეტად გაჭირვებულია; გრძნობს ამ თავის გაჭირვებას და მოწადინებულია თავი დააღწიოს მას, მაგრამ უვიცი და განუფითარებელია და განთავისუფლების ნამდვილ გზისთვის ვერ მიუგნია. ან როგორ უნდა მიაგნოს?

ძველ, დახავსებულ ცხოვრებას ხალხი შებოჭილი ჰყავს: უფროსებისაგან გაუგონია და შეუთვისებია, რომ უმცროსი და უფროსი, ბატონი და ყმა ყოველთვის ყოფილა და იქნებაო; ეკლესია და სასულიერო წოდება, ხალხის მთავარი ხელმძღვანელი ძველ დროში, მუდამ იმის მქადაგებელი ყოფილა, რომ მორჩილება და მოთ-

მინება პირველი ღირსებაა ადამიანისა. ხალხიც ითმენდა და მორჩილებაში იყო; ეკლესიაში დადიოდა, ლოცულობდა და ელოდა, რომ გულ-მოწყალე და კვიციანი ფე მოხედავდა მის გაჭირვებას; ზევით ღმერთი და ამ ქვეყნად მეფე—აი იმედი ხალხისა. მართალია, დიდი გადასახადი მიჰქონდა მთავრობას, მთავრობის წარმომადგენელნი შეუბრალებლად ებყრობოდნენ ხალხის შვილებს, მთავრობა არავითარ ღონის ძიებას არ ხმარობდა ხალხის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მაგრამ, ხალხის თვალში, ამისი ბრალი მეფეს როდი ედებოდა: რაც უბედურება გვჭირს, სულ მოხელეების საქმეა, თორემ მეფემ რომ ნამდვილად იცოდეს თავის საყვარელ ხალხის აუტანელი მდგომარეობა, მოხელეებს სასტიკად დასჯიდა და ჩვენც დაგვეხმარებოდაო, აი როგორ ჰფიქრობდა ხალხი.

დიდი და ხანგრძლივი შრომაა საქირო, რომ ხალხმა შეიგნოს ნამდვილი წყარო და მიზეზი მის ცხოვრების მოუწყობლობისა. დღეს ხარჯის ამკრეფი აწუხებს და ის ჰგონია პირველი დამნაშავე თავის გაჭირვებულ ცხოვრებისა, ხვალ ბოქაულმა სცემა სრულიად უმიზეზოდ და ეხლა ეს მიუჩნევია პირველ მტრად, ზევ მოსამართლემ გაამწარა—მართალი საქმე წააგებინა და ამას სწყევლის და ლანძღავს, და იმას-კი ვერ მიმხვდარა, რომ ხარჯის-ამკრეფი, ბოქაული, უსამართლო მოსამართლე და სხვა ამ გვარები ბუნებრივი, თანდაყოლილი სენია ხალხის უუფლებობისა და იმისა, რომ მისი ბატონ-პატრონები და მმართველები პასუხს არ აგებენ არავის წინაშე; ვერ მიმხვდარა, რომ თავის ბატონი თვითონვეა და თავის საქმეს თვითონვე უნდა უძღოდეს არჩეულ, პასუხის მგებელ პირების საშუალებით.

ამიტომაც არის, რომ დიდის მადლობით იგონებს საფრანგეთის ერი იმათ, ვინც თავს იღვა ხალხის გაღვიძება და გამოფხიზლება, ვინც შეაგნებინა მას ნამდვილი, მთავარი მიზეზი ცხოვრების მოუწყობლობისა.

მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის ერს ბევრი ჰყავდა ასეთი გამომფხიზლებელი და თვალების ამხელი, მაგრამ ყველაზე წინ თავის მნიშვნელობით სამი პირი იღვა—ვოლტერი, მონტესკიე და რუსსო.



ვოლტერი (1694—1778) ნამდვილი მებრძოლი ფილოსოფოსი იყო, დიდის ნიჭით და გამჭრიახობით აღიჭურვლი

მთელი მისი ცხოვრება ბრძოლა იყო და ამ ბრძოლის პირველი იარაღი მწარე, სასტიკი დაცინვა ყველაფრისა, რაც-კი ცხოვრების სიდუხჭირეს შეადგენდა, რაც ძალას აძლევდა ხალხის გამაუბედურებელ წესწყობილებას. დაცინვის ნიჭი, სარკასმი ვოლტერისა იმდენად ძლიერი იყო, რომ დღესაც საანდაზოდ ითვლება.

ორჯელ ციხეში ამოაყოფინეს თავი ვოლტერს, რამდენჯერმე საჯაროდ დასწვეს მისი ნაწერები, მაგრამ, თვითონ ვოლტერისა არ იყოს, ეს ვერაფერი „საბუთი“ იყო მის თხზულებათა წინააღმდეგ, პირიქით, კიდევ უფრო მეტ ძალასა და გავლენას სძენდა მით.

პირველად ყოველისა ვოლტერის მწარე და სამართებელივით მჭრელი ენა მიმართული იყო სასულიერო წოდებისა და არსებულ ეკლესიის წინააღმდეგ. და ეს ეგრეც უნდა ყოფილიყო იმ დროს.

ძლიერი და მდიდარი სასულიერო წოდება ღმერთისა და ეკლესიის სახელით ხელს აფარებდა ამ ქვეყნის ძლიერთა მტარვალობას, მფარველობდა ხალხის უვიცობას და გაუნათლებლობას, რადგან ამაზედაა დამყარებული მისი ძალა და გავლენა, შეუბრალებლად სდევნიდა სხვა სარწმუნოების აღმსარებელთ, სდევნიდა ყოველის საშუალებით თავისუფალ აზრს, რადგან ეს თავისუფალი აზრი ხალხის გამომღვიძებელი და განმაღვითარებელია. ვოლტერმა თავის შეუდარებელის ნიჭით ხალხის განათლებისა, თავისუფალ სინიდიისა და თავისუფალ აზრის სახელით, გამოააშკარავა გარყვნილება და ბოროტ-მოქმედება საფრანგეთის სასულიერო წოდებისა, საქვეყნოდ სასაცილოდ გახადა იგი და აქით საბოლოოდ დაუკარგა მას ხალხის თვალში ძველი გავლენა და პატივისცემა. ტყუილად როდი ამბობენ ფრანგები — ყველაზე

საშიში სასაცილოდ გახდომა არისო. ვოლტერის ბასრმა ენამ სასიკვდილოთ დასჭრა საფრანგეთის სასულიერო წოდება და ეკკლესია და მის შემდეგ იგი აღარ გამობრუნებულა.

ადამიანის აზრი თავისუფალია; თავისუფლად აზრის გამოთქმისათვის არავინ არ უნდა ისჯებოდეს; თავისუფალია ადამიანის სინიდიცი—ვის როგორი სარწმუნოება მოსწონს, ის აღიაროს, აქ არც სასულიერო წოდებას, არც მთავრობას ხელი არა აქვს; ჩემი სარწმუნოება, ჩემი ღმერთი ჩემი სინიდიცის საქმეა და სხვისი არავისი. თავისუფლებას ჰქადაგებდა მხურვალედ, გატაცებით ვოლტერი.

ვოლტერი კარგად ხედავდა, რომ საფუძველი სასულიერო წოდების ძალისა და გავლენისა ხალხის უფიცობა იყო და ამიტომაც თხოულობდა იგი ხალხის განათლებას; უამისოდ ფუჭი იქნება ყველაფერი, ხალხი თავს ვერ დაახწევს ობობას ქსელს, რომელიც ასეთის ხერხიანობით აქვს გაბმული სასულიერო წოდებასაო. სასულიერო წოდებისა და არსებულ ეკკლესიის შერყევით ვოლტერმა შეარყია ძველის საფრანგეთის დაწესებულებაც, რომელიც დამყარებული იყო მაზედ; საფრანგეთის რევოლიუციის ერთი ისტორიკოსი ამბობს—„ვოლტერის სარკასმების ხმაურობაზე შეირყა ეკკლესია და ეკკლესიასთან სამეფო ტახტიც“—ო.

ტყუილად კი არ სძულს და ეჯავრება სასულიერო წოდებას ღღესაც შესანიშნავ, უკვდავ ფრანგის სახელი; ვოლტერის ნაწერები ღღესაც „აკრძალულია“ სასულიერო მთავრობის მიერ. მაგრამ როგორც დაწვა არ იყო საბუთი, ისე, რასაკვირველია, არც აკრძალვა გამოდგება საბუთად ვოლტერის ნაწერების წინააღმდეგ.

მონტესქიე (1689—1755) სულ სხვა ხასიათის მოღვაწე იყო. მართალია, ამასაც აქვს ნაწერები, სადაც სასაცილოდ არის გამოყვანილი მაშინდელ საფრანგეთის ცხოვრების სიღუბჭირე და ნაკლი, მაგრამ მისი მნიშვნელობა იმ წიგნშია, რომელსაც „კანონების სული“ ჰქვია.

ეს წიგნი შესანიშნავი, ღრმა გამოკვლევაა სახელმწიფო წესწყობილებისა, მას დიდი და ხანგრძლივი გავლენა ჰქონდა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მწერლებზე.

როგორც ვიცით, საფრანგეთი ისეთი სახელმწიფო იყო, სადაც მეფეს ყველა უფლება ჰქონდა და მის ქვეშევრდომებს კი არც ერთი, გარდა ხარჯის გაღებისა და ჯარისკაცების ძლევისა; მეფე კანონმდებელიც იყო და კანონების აღმასრულებელიც, რასაკვირველია, თავის მოხელეების საშუალებით; მეფეში იყო თავმოყრილი მთელი სახელმწიფო მეუფება; ხალხი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა სახელმწიფო ცხოვრებაში. სადაც ასეთი წესია გამეფებული, იქ არ შეიძლება კანონიერება იქნეს, რადგან კანონი ერთის პირისაგან არის დამოკიდებული, ისეთის პირისაგან, რომელიც არავის წინაშე არ აგებს პასუხს.


მონტესქიემ თავის განთქმულ წიგნში თვალწინ დაუყენა მეთვრამეტე საუკუნის ფრანგებს სურათი კანონიერ, უფლებრივ სახელმწიფოსი.

სახელმწიფოს სამი დიდი მოვალეობა აწევს წინაშე თავის წევრებისა: კანონების გამოცემა, მათი შესრულება და მოსამართლეობა. ეს სამი მოვალეობა უთუოდ სამ სხვა-და სხვა დაწესებულებას უნდა დაეკისროს, ისე სახელმწიფოში კანონიერების დაცვა შეუძლებელია. მეფე ასრულებს კანონს და თვითონაც ემორჩილება ამ

კანონს; კანონის შეცვლა, ახალის გამოცემა საკანონმდებლო დაწესებულების საქმეა; მოსამართლეობას ცალკე, დამოუკიდებელი დაწესებულება უნდა ასრულებდეს; თუ მოსამართლე დამოკიდებულია, სხვისი ხელქვეითია, სამართალი ვერ იქნება დაცული, რადგან ხელქვეითი უფროსის სურვილსა და ნებაზე მიდის ძალაუნებურად.

ამას ასწავლიდა მონტესკიე თავის თანამემამულეთ. და მით საძირკველს აცლიდა არსებულ წესწყობილებას, სადაც კანონიერების მაგიერ თვითნებობა და ძალმომრეობა იყო გამეფებული.

ვინ უნდა იყოს კანონმდებელი სახელმწიფოში? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ჟან-ჟაკ რუსსო (1712—1768).



უმალღესი მეუფება, სუვერენიტეტი ხალხს უნდა ეკუთვნოდესო, ამტკიცებდა რუსსო; მეფე მხოლოდ მმართველი და კანონის აღმასრულებელია. კანონმდებელი კი ხალხი უნდა იქნეს, ეს უფლება მხოლოდ მას ეკუთვნის; მაგრამ ყოველი კანონმდებლობის საფუძველი უნდა იქნეს თავისუფლება და თანასწორობა; თუ ეს პირობა არ არის, ისე ხალხი თავს ვერ დაახწევს გაჭირვებულ მდგომარეობასაო. მარტო ამ ქადაგებით არ უმოქმედნია რუსსოს, მისი კრიტიკა არსებულის წესწყობილებისა ისე გულწრფელად, ძლიერად და მხურვალედ იყო გამოთქმული, რომ ყველას იტაცებდა და ანდომებდა ახალის, სამართლიანის წესის შემოღებას.

ვოლტერს, მონტესკიეს, რუსსოს მხარსა და ხმას აღევდნენ საფრანგეთის სხვა შესანიშნავი მწერლები. ყველა თხოულობდა თავისუფლებისა და კანონიერების დამყარებას; ყველა უკმაყოფილო იყო არსებულის წესწყობილებით; ყველა მოუთმენლად ელოდა მის შეცვლას.

ეს განმათავისუფლებელი გონებრივი მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ამერიკის ახალშენები (კოლონიები) აუჯანყდნენ ინგლისს და თავისუფლების დროშა ააფრიალეს. ამერიკის აჯანყების გავლენა მაშინდელ საფრანგეთზე ღრმა და ხანგრძლივი იყო. ფრანგები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამ აჯანყებაში, მაგრამ მარტო იმიტომ კი არა, რომ ინგლისელები სძულდათ. მარკიზი ლაფაიეტი, შემდეგ ცნობილი მოღვაწე დიდის რევოლუციისა, წავიდა ამერიკაში მას შემდეგ, რაც წაიკითხა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, სადაც, სხვათა შორის, სწერია: „...უეჭველ და ცხად ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და რომ ყველას მანია უემოქმედმა

ზოგი წაუბრებელი უფლება; ამ უფლებათა შორის პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერების ძებნა; ამ უფლებათა განსახორციელებლად ადამიანებმა შექმნეს მთავრობა; ყოველ იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა წინ ეღობება იმ მიზანს, რისთვისაც შეუქმნიათ, ხალხს უფლება აქვს შესცვალოს ან მოსპოს იგი და დააწესოს ახალი მთავრობა ისეთ საფუძველზე, რომელიც უკეთ შეუწყობს ხელს მის კეთილდღეობას... ყოველ ხალხს არა თუ უფლება აქვს, მოვალეობაც აწევს დაამხოს ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის დამონებას სცდილობს, და შემოიღოს ისეთი წესწყობილება, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მას ასეთის მთავრობისაგან“.

ეს დეკლარაცია მეტად გავრცელებული იყო საფრანგეთში და ბევრი ფრანგი გაიტაცა, იარაღი ააღებინა ხელში და ამერიკაში წაიყვანა ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საფრანგეთშიო, — სწერდა ფრანკლინი 1777 წელს, — ის აზრია გავრცელებული, რომ „ჩვენი (ამერიკელების) საქმე კაცობრიობის საქმეა და ვიბრძვით არა მარტო ჩვენის თავისუფლებისათვის, არამედ ევროპის თავისუფლებისათვისაც“. მეფეს, თვითონება მთავრობას ებრძოდნენ ამერიკელები და შეგნებული ფრანგებიც მხურვალედ თანაუგრძობდნენ მათ, რადგან თვითონაც იტანჯებოდნენ იმავე მეფისა და თვითონების უღელ-ქვეშ. ინგლისის მეფეს იმდენი არ დაუშავებია ამერიკელებისათვის, რამდენიც ევროპის გვირგვინოსნებმა დაუშავეს თავიანთ ქვეშევრდომებსო, — სწერდა მირაბო 1882 წელს. თავისუფლების მომხრენი გამხნევდნენ, ამერიკის აჯანყებამ იმედი ჩაუწერგათ გულ-

ში, რომ, რაც წინად ფუჭ ოცნებად იყო მიჩნეული, დღეს შეიძლება მისი განხორციელება.

ერთი საყურადღებო გარემოება უნდა აღინიშნოს ეხლავე, რომ შემდეგ ადვილად გავიგოთ ზოგი მოვლენანი დიდის რევოლიუციისა: თავისუფლებისა და თანასწორობის ეს მქადაგებელნი და მოტრფიალენი არ იყვნენ ნამდვილი დემოკრატები, ამ სიტყვის ეხლანდელ მნიშვნელობით. მართალია, ესენი თხოულობდნენ, რომ ხალხს მიეღო მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ხალხი ყოფილიყო კანონმდებელი, მაგრამ თვითონ ეს სიტყვა სხვანაირად ესმოდათ: უვიცი, გაუნათლებელი და ლატაკი ნაწილი საფრანგეთის ერისა, ე. ი. უმრავლესობა, არ შედიოდა მეთვრამეტე საუკუნის მქადაგებელთა „ხალხში“; მეტად უვიცი, განუფიქრებელი და მოუშადებელია ეს უმრავლესობა და არ გამოდგება სახელმწიფო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ეს კიდევ ცოტაა: ვისაც ქონება არა აქვს, ის ვერც იქნება ნამდვილი მოქალაქე და მამულისშვილიო, — ამტკიცებდნენ მეთვრამეტე საუკუნის მოაზრენი. ასე რომ, როცა ხალხის მეუფებაზე, სუვერენიტეტზე ლაპარაკობდნენ, იმას როდი ჰფიქრობდნენ, ნამდვილი დემოკრატია დაემყარებინათ, შემოეღოთ საყოველთაო საარჩევნო უფლება. ამერიკაშიაც ხომ ეგრე იყო და იმ დროს ამერიკის მაგალითი ბევრს ნიშნავდა. ყველაზედ დემოკრატია იმ დროს ის იყო, ვინც თხოულობდა პოლიტიკურ უფლებას ყველა მესაკუთრეებისათვის, დიდისა და პატარისათვის. ამაზედ შორს ვერ მიდიოდა იმ დროის დემოკრატიზმი. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს, თუ გვსურს გავიგოთ ზოგი მხარე დიდის რევოლიუციისა.

რაკი ნამდვილი დემოკრატები ვერ იყვნენ მეთვრამ-

ქეტე საუკუნის მწერლები და მოაზრენი, არც იმას ფიქრობდნენ, რომ შემოეღოთ ნამდვილ დემოკრატიის ერთადერთი შესაფერი სახელმწიფო წესწყობილება—რესპუბლიკა; მათი სურვილი იყო მეყობის რეფორმა და არა მოსპობა; როგორც დემოკრატები არ იყვნენ, ვერც რესპუბლიკელებს ვხედავთ.

მაგრამ რაკი ხალხის სუვერენიტეტის აზრი გავრცელებული იყო, რაკი თანასწორობის პრინციპი მიღებული ჰქონდათ, ხალხი ადვილად ვერ შეურიგდებოდა საფრანგეთის ორ, უფლების მხრივ, უთანასწორო ნაწილად გაყოფას. მართალია, ერის უმრავლესობა უვიცი და გაუნათლებელი იყო, მაგრამ თავისუფლებისა და თანასწორობის ქადაგებამ პატარა ლატაკ ქოხამდეც მიაღწია. და არც ისე ძნელია ამ აზრების შეთვისება.

მეორე მხრივ, როგორც ვსთქვით, რესპუბლიკელებიც არ იყვნენ, მაგრამ თუ მეფე, რომელიც, მათის შეხედულებით, ისტორიით დანიშნული იყო საფრანგეთის ხელმძღვანელად, ვერ შეასრულებდა თავის დანიშნულებას, გადაეღობებოდა ერის ინტერესებსა და, მაგალითად, უღალატებდა თავის პირველ მოვალეობას—საფრანგეთის დამოუკიდებლობის დაცვას უცხოელებისაგან, საზოგადოებრივი აზრი ისეთი იყო, რომ რესპუბლიკასაც ადვილად მიიღებდნენ. მაშასადამე, ეს მხარე მოძრაობისა დამოკიდებული იყო თვით მეფისა და მთავრობისაგან, ამათ ქცევისაგან. როგორი იყო ეს მეფე და მთავრობა? რას ფიქრობდნენ ლუი მეთექვსმეტე და მისი შინისტრები? რომელ გზაზე აპირებდნენ დადგომას?

ლუი XVI და მისი მინისტრები.

ლუი მეთექვსმეტე სულ ახალგაზდა იყო, როცა სამეფო ტახტზე ავიდა (1774 წ.). გულუბრყვილო ხალხი ალტაცებით თურმე მიეგება ახალგაზდა მეფეს—იმედი ჰქონდა, რომ მეფის გამოცვლა მის ცხოვრებაშიაც შეიტანდა რაიმე ცვლილებას, შეუმსუბუქებდა გაჭირვებულ მდგომარეობას. არა თუ ხალხი, ხშირად მოწინავე პირები, ინტელიგენციაც კი გაუტაცნია ასეთ იმედებს... ამიტომ საფრანგეთის ხალხს ვერ ვუკიჟინებთ ამ გულუბრყვილობას, მით უფრო, რომ ლუი მეთექვსმეტეს გულკეთილ, ხალხის თანამგრძობ კაცის სახელი ჰქონდა გაიარდნილი. ამბობენ, მართლა გულკეთილი ადამიანი იყო ძველ საფრანგეთის უკანასკნელი მეფე, მართლა ჰქონდა სურვილი ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის გაუმჯობესებისაო; მაგრამ, როგორც ვიცით, ასეთ საქმისათვის სრულიად საკმარისი არ არის გულკეთილობა და წრფელი სურვილი.

ლუი მეთექვსმეტე ერთობ სუსტის ხასიათის კაცი იყო; მახლობლებს დიდი გავლენა ჰქონდათ მასზე, განსაკუთრებით დედოფალს მარიამ ანტუანეტას და მეფის ძმებს, საფრანგეთის პრინცებს (ბატონიშვილებს); ესენი კი სულით და გულით არსებულ წესწყობილების მომხრენი და ყოველგვარ ცვლილების შეურიგებელი მტრები იყვნენ. როცა რომელიმე გონიერი მინისტრი შეაგონებდა რასმე მეფეს და ხალხის სასარგებლო კანონს გამოაცემინებდა, დედოფალი, პრინცები და კარის კაცები იმდენს ეცდებოდნენ, რომ ან კანონს მოასპობინებდნენ ან და ისე შეაცვლევინებდნენ, რომ ყოველი მნიშვნელობა ეკარგებოდა.

რასაკვირველია, მეფის ასეთ ქცევის მიზეზი მარტო სუსტი ხასიათი როდი იყო: ლუი მეთექვსმეტე ვერ დაიკვებნოდა ვერც დიდ გონიერებას და ვერც შორს გამჭვრეტელობას; მას არ ესმოდა იმ დროის ვითარება და დარწმუნებული იყო, რომ ბურბონები (საფრანგეთის მეფენი გვარად ბურბონები იყვნენ) შემდეგშიაც ისე იმეფებდნენ, როგორც წინად უმეფნიათ. ხალხის გაჭირვების და უკმაყოფილების სიღრმე-სიგანის გაზომვა მიუწდომელი იყო ლუი მეთექვსმეტეს პატარა ჭკუისათვის.

ახალგაზდა მეფის პირველი ნაბიჯი თითქოს ახალ ხანის მ. მასწავებელი იყო: მინისტრებად მართლა გონიერი და შორს გამჭვრეტი პირები მოიწვია: მათ შორის ყველაზე შესანიშნავი ფინანსთა მინისტრი (მაშინ „მთავარ კანტრალიორს“ ეძახდნენ) ტიურგო იყო. ტიურგო ნათლად ხედავდა მომავალ ქარიშხალს და ყოველ ღონეს ღონობდა თავიდან აეცილებინა იგი საფრანგეთისათვის: თუ არ ეშველა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას, თუ მშვიდობიანის გზით არ შეიცვალა არსებული აუტანელი წესწყობილება, ხალხი მოთმინებას დაჰკარგავს, აღელდება და ხალხის ამ მღელვარების ტალღა წალეკავს ყველაფერს, რაც წინ გადაეღობებაო, აი რას ჰფრქობდნენ ტიურგო და მისი თანამოაზრენი. შინაგან საქმეთა მინისტრი მალერბი სცდილობდა სასამართლოს სამართლიან გზაზე დაყენებას, უნდოდა მოესპო თვითნებობა, მომხრე იყო წერის და სინიდიის თავისუფლებისა. ტიურგოს განზრახვები უფრო ფართო და დიდმნიშვნელოვანი იყო. 1776 წელს მეფემ გამოსცა, ტიურგოს შეგონებით, განთქმული დეკრეტები (ბრძანებანი), რომელთა ძალათ უნდა მოსპობილიყო საფრანგეთში ფეოდალური, ბატონყმური წესწყობილების ნაშთები (მაგალი-

თად, ბეგარა და საბაჟოები) და პიროვნებას მისცემოდა მეტი თავისუფლება (ვაჭრობა-მრეწველობა და ხელოსნობა სრულიად თავისუფლდებოდა ძველ შემავიწროებელ წესებისაგან). ტიურგო ამას არ სჯერდებოდა: მისი განზრახვა იყო გადასახადი გაეწერა თავად-აზნაურობასა და სასულიერო წოდების ადგილ-მამულზე და ხალხის წარმომადგენლები მოეწვია სახელმწიფო საქმეებზე საბჭობლად. იმედიც ჰქონდა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანისა, რადგან ლუი მეთექვსმეტე მის მხარეზე იყო.

სასახლე, თავად-აზნაურობა და სამღვდლოება ყალყზე დადგა—ბეგარისა და საბაჟოების მოსპობა კარგ შემოსავალს აკლებდა მათ; მრეწველობა-ხელოსნობის განთავისუფლება ეწრომელ ხელს მოაკლებდა მათ მიწებს; ბევრი გლეხი ქალაქს მიაშურებდა და აქ ხელოსნობას არჩევდა სოფლელ მუშად ყოფნას. მოსალოდნელი საადგილ-მამულო გადასახადი კიდევ უარესს უქადდა მათ. გარდა ამისა ტიურგო წინააღმდეგი იყო სასახლის მფლანგაობისა, იგი თხოულობდა მომჭირნეობას, ყაირათიანობას და ეს კი წარმოუდგენელი იყო განცხრომის მოტრფილვე დედოფლისა და კარის-კაცებისათვის. შეუჩნდნენ მეფეს და იმდენი მოახერხეს, რომ ტიურგო გადააყენებინეს: სამეფოს ღუპავს, რევოლიუცია უნდა მოახდინოსო, ამბობდნენ იმ კაცზე, რომელიც ყოველ ღონეს ღონობდა თავიდან აეცილებინა საფრანგეთისათვის რევოლიუციის საწინელეაზნი.

ტიურგო წასვლის შემდეგ თითქმის სავსებით მოსპვეს ზემოთ მოხსენებული ეტიკტები და საფრანგეთი ისევ ძველ კალაპოტში ადგა.

გაჭირვება მატულობდა; ფული იყო საჭირო და საფრანგეთი ყელამდე ვლებში იყო სფალული. მო-

შპირნეობა და ყაირათიანობა ჭირივით სძულდა სასახლეს და ამიტომ ისეთ კაცს ეძებდნენ ტიურგოს ადგილზე, რომ ბლომად ფული ეშოვა, რაც არ უნდა დაჯდომოდა იგი სახელმწიფოს.

დანიშნეს იმ დროს კარგად ცნობილი ბანკირი ჟენეველი ნეკკერი. ნეკკერი გონიერი კაცი იყო, მაგრამ ტიურგოს შესანიშნავ სახელმწიფო ჰკუასთან ჟენეველ ბანკირის ეს გონიერება არაფერი იყო.

პირველ ხანებში ნეკკერს ძალიან ემაღლიერებოდნენ სასახლეში: რადგან კარგისა და ფრთხილის ფინანსისტის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ფულის სესხება ადვილად მოახერხა და რაკი ფული იყო, სასახლესაც მეტი არა უნდოდა—რა—ხვალინდელ დღეზე აქ არავინ ზრუნავდა. საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა კი უფრო და უფრო უარესდებოდა დავალიანებისაგან და ნეკკერიც ბოლოს იძულებული იყო ტიურგოს აზრს დასდგომოდა—გაეწერა გადასახადი თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდების ადგილ-მამულზე; მაგრამ ვერას გახდა და ერთს, სრულიად ახალ საშუალებას მიჰმართა მთავრობის აზრის შესაცვლელად და საზოგადოების აზრის მისამზრობად.

ძველ საფრანგეთში სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიში მარტო ფინანსთა მინისტრმა იცოდა. რამდენი იყო წლიური შემოსავალი, რომელ გადასახადისაგან რა შემოდიოდა, რაზედ იხარჯებოდა ეს შემოსავალი, ამ კითხვაზე პასუხს არავინ იძლეოდა: ხალხმა გადასახადი გვაძლიოს და რამდენს რაზედ დავხარჯავთ, ეს რა მისი საქმეაო, ასე ჰფიქრობდნენ ძველ საფრანგეთს მმართველები.

ძველ საფრანგეთში ნეკკერი პირველი იყო, რომ

გამოაქვეყნა სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობის სრული ანგარიში. ამ ანგარიშიდან ხალხმა თვალ-ნათლივ დაინახა, რომ ხარჯის გამღები მხოლოდ ის არის, რომ აუარებელი ფული იხარჯება სასახლის შესანახად და კარის-კაცების საჩუქრებზე, რომ ამის მიზეზით საფრანგეთი საშინლად დავალიანებულია. ერთის სიტყვით, ყველასათვის ცხადი შეიქნა საფრანგეთის უნუგემო მდგომარეობა და ისიც, რომ ამ მდგომარეობის პირველი მიზეზი მთავრობა და მთავრობის მომხრე წოდებანი იყვნენ.

რასაკვირველია, ნეკკერი მაშინვე გადააყენეს თანამდებობიდან.

ფული კი არ იყო და არა; რაც დრო მიდიოდა, საფრანგეთი უფრო და უფრო ვალიანდებოდა; სახელმწიფო შემოსავალს კი არა ემატებოდა-რა. რომელი მინისტრიც არ დააყენეს, ბოლოს ყველა იძულებული ხდებოდა ტიურგოს მიერ განზრახულ ღონისძიებაზე გაჩერებულიყვნენ: მდიდარ კლასებს, თავად-აზნაურობას და სასულიერო წოდებას უნდა გაეწეროს ხარჯი, რადგან ხალხი ისე გადატაკებულია, რომ ახალ გადასახადს ვეღარ გადაიხდისო. როგორც იქნა, მთვრ და სასახლე დასთანხმდნენ ამ ღონისძიებას, მაგრამ ვერას გზით ვერ განახორციელოეს იგი, რადგან მთელი თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდნენ. მინისტრები იცვლებოდნენ და მდგომარეობა კი ისევ ძველი იყო. რაც დრო მიდიოდა, საზოგადოება და ხალხი უფრო და უფრო უკმაყოფილო იყო; ეს უკმაყოფილება საჯაროდ ცხადდებოდა. მთავრობა უღონო იყო, რადგან მხოლოდ ფულის შოვნაზე ჰფიქრობდა და საჭირო ღონისძიებისათვის ვერ მიეგნო. ბოლოს მთავ-

რობამ ისევ ნეკკერი მოიწვია, მით უფრო, რომ ამით ჰფიქრობდა აღელვებულ საზოგადოებრივ აზრის დამშვიდებას: ნეკკერი საზოგადოებისა და ხალხის საყვარელი პირი შეიქნა მას შემდეგ, რაც ხსენებული ანგარიში გამოაქვეყნა და ამისათვის გადააყენეს.

ნეკკერმა იმდენი მოახერხა, რომ ფული იშოვა და მიმდინარე უსაჭიროესი ხარჯები დაჰფარა. მაგრამ ეს ხომ საქმის გასწორება არ იყო; ამას სხვაგვარი ღონისძიება სჭირდებოდა, ის ღონისძიება, რომელსაც დიდი ხანია თხოულობდა საფრანგეთის საზოგადოების შეგნებული ნაწილი: ხალხის წარმომადგენლები მოიწვიოს მთავრობამ სახელმწიფო საქმეების გამოსაბრუნებლად, სხვა გზა არ არისო, — ამტკიცებდნენ ეს შეგნებული პირები.

მთავრობას ძალიან არ უნდოდა ამ წარმომადგენლების მოწვევა, მაგრამ რაკი სხვაფრივ ვერა გააწყესრა, ისევ ამ ღონისძიებისათვის უნდა მიემართნათ; მით უფრო, რომ იმედი ჰქონდათ საქმეს თავიანთ სურვილისამებრ გაძლოლოდნენ: შეიკრიბებიან ხალხის წარმომადგენლები, ითათბირებენ, საჭირო ფულის წყაროს გვიჩვენებენ და ისევ სახლში წავლენო. ძველი საფრანგეთი უფსკრულის ნაპირას იდგა, ახლოვდებოდა საშინელი ქარიშხალი გაჭირვებისაგან გაბოროტებულ ხალხისა და მთავრობა კი ვერაფერს ხედავდა: იმის მაგიერ, რომ დროით შემოეღოთ საჭირო ცვლილებანი, გაბედულად დასდგომოდა ხალხის საჭიროებათა შესწავლასა და დაკმაყოფილებას, მხოლოდ ფულის შოვნაზე ჰფიქრობდა; იმ დროსაც კი, როცა გადაწყდა ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, სასახლე იმ იმედით იყო, რომ ეს მრავალტანჯული ხალხი ფულებს ჩაუჩხრიალებდა ჯიბეში

და მორჩილებით დაუბრუნდებოდა თავის გაჭირვებულ ცხოვრებას.

უკანასკნელ დრომდე ხალხი და ინტელიგენცია კი არ ყოფილა მეფობისა და მეფის წინააღმდეგი; პირიქით, იმ დროს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ უმეფოდ ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორც საფრანგეთი იყო. ხალხში ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მეფისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. და როცა მთავრობამ 1789 წლის 27 აპრილს გამოაცხადა ხალხის წარმომადგენლების მოწვევა, ლუი მეთექვსმეტე საღმერთებელი პირი შეიქნა მთელის საფრანგეთისათვის: ხალხი დარწმუნებული იყო, რომ კეთილი მეფე იწვევს თავის ერთგულ ქვეშევრდომებს სახელმწიფო საქმეებზე სათათბიროდ და, პირველად ყოვლისა, თვითონ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ლუი მეთექვსმეტე რომ ხალხის სურვილს აპყოლოდა, გაემართლებია მისი მოლოდინი და თავის ნებით შემოეღო იმ დროის საფრანგეთისათვის საჭირო ცვლილებანი, ხალხის სიყვარულიც ბოლომდე შერჩებოდა: რევოლიუცია, ძველის წესის ახალზე შეცვლა მშვიდობიანი და წესიერი იქნებოდა, მაგრამ საფრანგეთის უკანასკნელ მეფეს და მის მახლობლებს სრულიად არ ჰქონდათ წარმოდგენა საქმის ნამდვილ მდგომარეობაზე და, თუ დასთანხმდნენ, ისეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაზე, როგორც ხალხის წარმომადგენლების მოწვევაა, იმიტომ კი არა, რომ მართლა განზრახვა ჰქონდათ საჭირო რეფორმების შემოღებისა; სრულიადაც არა: აუცილებლობას დაუთმეს, რომ საჭირო ფული ეშოვათ. გაუბედავი, ბავშვივით სუსტი და შორს ვერ გამჭვრეტი ლუი მეთექვსმეტე დღეს რომ მიწისტრის გონიერ რჩევას მიიღებდა, ხვალ სულ

წინააღმდეგ ღონისძიებას მიჰმართავდა; დედოფალი, პრინციები და კარის-კაცები მუდამ მასთან იყვნენ და, რაც არ უნდა განეზრახა რომელიმე მინისტრს, თუნდა მეფეც თანახმა ყოფილიყო მისი, ყველაფერი ისე დატრიალდებოდა, როგორც დედოფალსა და სასახლეს უნდოდა.



ლუი მეთექვსმეტი.

ლუი მეთექვსმეტემ ვითომ აასრულა საზოგადოებრივ აზრის მოთხოვნა—მიიწვია ხალხის წარმომადგენლები, მაგრამ მასაც და სასახლესაც ხალხის მოტყუილება უნდოდა ამ ღონისძიებით. ხალხიც პირველ ხანებში

დიდის ნდობით ეკიდებოდა მეფეს, მაგრამ როცა დაინახა, რომ ყინულზე გაცურებას უპირებდნენ, თავისი საკუთარი ღონისძიება გამოიხატა და, როგორც შემდეგში დავინახავთ, რევოლიუციას მიჰმართა: ერთბაშად დაღეწა მთელი ძველი წესწყობილება და მის ნანგრევებ ქვეშ მოაყოლა ძველ საფრანგეთის უკანასკნელი მეფეც.

სამრო კრება.

ძველის წესის მიხედვით, თვითეული წოდება თავის-თვის, ცალკე ირჩევდა წარმომადგენლებს; საფრანგეთის ყოველ კუთხეში თავად-აზნაურობა ცალკე შეიკრიბა, სამღვდლოება ცალკე და მესამე წოდება კიდევ ცალკე. პირველი ორი წოდება პირდაპირ ირჩევდა თავის წარმომადგენელს ან დეპუტატს; მესამე წოდებას კი ჯერ ამომრჩევლები უნდა აერჩია და შემდეგ კი ესენი აირჩევდნენ თავიანთ შორის დეპუტატებს.

როგორც ვიცით, მთავრობის აზრი იყო ფულის შოვნა, როცა წარმომადგენლების მოწვევა გადასწყვიტა, თან ისიც გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ არსებული წესი ქვეყნის მართვა-გამგეობისა შეუცვლელი დაეტოვებინა. და რომ ეს განზრახვები სისრულეში მოეყვანა, ერთ მოულოდნელ ღონისძიებას მიჰმართა: არჩევის უფლება მიანიჭა მცირე ქონების პატრონსაც (ყველას, ვინც კი 6 ფრანკზე *) ნაკლებ არ იხდიდა სახელმწიფოს სასარგებლოდ); მთავრობის მოსა-

*) ფრანკი—36 კაპ.

ზრებით, ასეთ ხალხის არჩეული პირები დიდი მომხრე იქნებოდნენ თავად-აზნაურობასა და სამღვდლოებაზე ხარჯის გაწერისა და თან იმდენად განუვითარებლნი და მოუძნადებელნიც, რომ არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილებას ხელუხლებლად დასტოვებდნენ. ასეთ შეუგნებელ დეპუტატების საშუალებით ჰფიქრობდა მთავრობა ძველის მდგომარეობის შერჩენას წინააღმდეგ და წინაურებულ ფრანგების სურვილისა და განზრახვისა: უფიცობა განათლების წინააღმდეგ, აი მოკლედ ლუი მე-თექვსმეტეს და სასახლის ღონისძიება მომავალ რევოლუციის თავიდან ასაცდენად.

მაინცა და მაინც არ ეკიჟინება მაშინდელ მთავრობას ასეთი შეხედულება ხალხის განვითარებაზე: როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, ამავე აზრის იყო საფრანგეთის ხალხზე იმ დროის საუკეთესო მოწინავე საზოგადოებაც.

არ გამართლდა არც მთავრობის იმედი და არც მოწინავე საზოგადოების შიში.

ხალხი კარგად გრძნობდა თავის გაჭირვებას, იმასაც ხედავდა, რომ უთუოდ ცვლილება უნდა მომხდარიყო მის მდგომარეობაში, და დიდის სიღინჯით და მოსაზრებით მოეკიდა დეპუტატების არჩევას და ამათთვის საგანგებო დარიგების შედგენას. მეფეს მართლა განუზრახავს ჩვენი გაჭირვების შემსუბუქება, გულწრფელად მოისმენს ხალხის არჩეულ პირების საჩივრებს და მიიღებს მათ რჩევასო, ჰფიქრობდა ხალხი, როცა იკრიბებოდა დეპუტატების ასარჩევად და თავის საჭიროებათა აღსანუსხავად. საფრანგეთის ხალხი ჯერ კიდევ არ იყო ერი—მეუფე, ერი—უაღრესი მბრძანებელი სახელმწიფოში, მაგრამ იგი უკვე ადამიანურ მოპყრობას თხოულობდა, რადგან შეგნებული ჰქონდა ადამიანის

ღირსება: მეც კაცი ვარ, მეც მანდა ადამიანური ცხოვრებაო, აი რის გამომხატველი იყო სახალხო არჩევნები და ის „რვეულები“ (cabiers), რომლებშიაც ჩაწერილი იყო ხალხის საჭიროებანი და მოთხოვნანი.

ეს საერთო ხასიათი სახალხო არჩევნებისა უფრო გამოიჩინა, როცა ხალხის წარმომადგენლებმა ერთად მოიყარეს თავი, გაეცნენ ერთმანეთს, მოილაპარაკეს. პირველად აქ იგრძნეს მათ, რომ ერთის ერის შვილები იყვნენ. მანამდე საფრანგეთი სხვა-და-სხვა პროვინციებად იყო დაყოფილი, ერთი პროვინცია მეორეს არ ჰგავდა არც ზნით, არც ხასიათით და, რაც უფრო აღსანიშნავია, — მმართველობის წესითაც; საფრანგეთი თითქოს მრავალ ერებისაგან იყო შემდგარი. ერთი და განუყოფელი ერი საფრანგეთისა ხალხის წარმომადგენლების ერთად შეყრამ დაჰბადა, და ეს ერთი და განუყოფელი ერი ერთის სურვილით, ერთის აზრით იყო გამსჭვალული — თვითონვე ყოფილიყო თავისი პატრონი: მომგლელი და მზრუნველი არ მინდა, სრულ-წლოვანი ვარ, ჩემს თავს მე თვითონ მოვუვლიო, აი რას ამბობდა ხალხი თავის წარმომადგენლების პირით.

იმედი გაუცრუვდა მეფესა და სასახლეს, იგრძნეს, რომ ძველ წესის მეფე ხალხს აღარ უნდოდა; არ უნდოდა სხვა-და-სხვა უპირატესობით აღჭურვილი თავდაზნაურობა და მაღალი სასულიერო წოდებაც.

როგორც წინა წერილში გვქონდა ნათქვამი, ორივე წარჩინებული წოდება მეტად უკმაყოფილო იყო მთავრობისა: რად განიზრახა ჩვენზე ხარჯების გაწერაო, მაგრამ ეხლა, როცა დაინახეს ხალხის ნამდვილი გულის ნადები, უკმაყოფილება დაივიწყეს და შეუერთდნენ მთავრობას, რომ შეერთებულის ძალღონით გადალო-

ბებოდნენ ხალხის სურვილებისა და განზრახვების განხორციელებას.

არჩეულ წარმომადგენლების შეკრების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა—ყოველ წოდების წარმომადგენელი ცალკე უნდა შეიკრიბნენ, ცალკე უნდა ითათბირონ საქმეებზედ და დადგენილებაც ცალკე უნდა მოახდინონო. ასეთი განკარგულება იმის მაჩვენებელი იყო, რომ ხალხის ყინულზე გაცურება ჰქონდათ გადაწყვეტილი: ცალკე-ცალკე თათბირი და დადგენილების მოხდენა იმას ნიშნავდა, რომ ბოლოს თვითეულ წოდებას თითო ხმა ექნებოდა, და რაკი ორი წოდება ძველის მომხრე იყო, მესამე წოდებას რაც არ უნდა გადაეწყვიტა, უნაყოფო და უმნიშვნელო იქნებოდა.

ხალხის წარმომადგენლები ამას, რასაკვირველია, მაშინვე მიხედნენ და მოითხოვეს, რომ ყველა დებუტატები ერთად შეკრებილიყვნენ და ყოველი საკითხი ხმის უმრავლესობით ყოფილიყო გადაწყვეტილი. მთავრობა, რასაკვირველია, უარზე იდგა, და საქმე მეტად ჰიანურდებოდა; მთელი ექვსი კვირა (1789 წლის 5 მაისიდან 17 ივნისამდე) ამ საკითხზე ჰქონდათ თათბირი და მოლაპარაკება. 17 ივნისს მესამე წოდების წარმომადგენლები გაბედულ მოქმედების გზას დაადგინენ: რაკი არც მთავრობას, არც წარჩინებულ წოდებათ არსურთ ჩვენთან მუშაობა სახელმწიფოს განახლებისათვის, ვაცხადებთ, რომ ეს ჩვენი კრება არის ნამდვილი ეროვნული კრება ე. ი. მთელის ხალხის წარმომადგენელი, და დაუყოვნებლივ შევუდგეთ სახელმწიფო საქმეებსაო. აასრულეს კიდევ ნათქვამი და იმავე დღეს კრებამ დაადგინა: გადასახადების გაწერა მხოლოდ კრებას შეუძლია; თუმცა არსებული გადასახადები უკანონოა, მაგრამ

დარჩეს, სანამ ეროვნული კრება დაიშლებოდეს; მერე-
კი ყოველი გადასახადი, რომელიც-კი ამ კრებისაგან
არ არის მიღებული, ისპობა; საფრანგეთის სახელმწიფო
ვალის გადახდა უზრუნველყოფილი იქნება, სანამ ეროვნული
კრება ხელშეუშლელად იმუშავებს საფრანგეთის
წესწყობილების განახლებისათვის.

ხალხი აღტაცებაში იყო დეპუტატების გაბედულე-
ბით; სამაგიეროდ მთავრობამ გონება დაჰკარგა და არ
იცოდა, რა ექნა. სანამ რომელიმე გზას აირჩევდნენ,
დეპუტატებს დაუკეტეს ის დარბაზი, სადაც იკრიბებოდ-
ნენ; მაგრამ მალე ახალი ბინა იშოვეს (ბურთის სათა-
მაშო სახლი) და იქ შეიკრიბნენ. რაკი ურთიერთი ა-
მოკიდებულება მთავრობისა და ხალხის წარმომადგენ-
ლებისა ასე გამწვავდა, მოსალოდნელი იყო სასტიკი
ლონისძიებანი და სწორედ ასეთ შემთხვევისათვის იყო,
რომ დეპუტატებმა ერთმანერთს შეჰფიცეს. „ვეფიცავთ,
რომ არ დავიშლებით; შევიკრიბებით ყველგან, სადაც-
კი შესაძლებელი იქნება, სანამ შემუშავებული და
მტკიცე ნიადაგზე დამყარებული არ იქნება სამეფოს
ახალი წესწყობილება“. გატაცებით და აღფრთოვანე-
ბით დასდეს ეს ფიცი ხალხის წარმომადგენლებმა.

ეს მოხდა 20 ივნისს და 22-ს სასულიერო წოდე-
ბის წარმომადგენელთა უმრავლესობა ეროვნულ კრებას
შეუერთდა. პარიზის ხალხი ხომ აღტაცებით ადევნებდა
თვალყურს კრების ყოველ ნაბიჯს. მთავრობა დიდ გასაჭირ-
ში იყო და ლუი მეთექვსმეტემ გადასწყვიტა ენერგიულის
ქცევით დაეშინებია ხალხის წარმომადგენლები: დიდის
აზბით მივიდა ეროვნულ კრების სხდომაზე, ესპობ ყვე-
ლა თქვენ დადგენილებასო, გამოაცხადა და ბრძანა—
ეხლავ დაიშალეთ, თვითეულ წოდების წარმომადგენელ-

ნი ცალკე შეიკრიბენით და ისე ითათბირეთო. სთქვა და წავიდა. წარჩინებული პირები მაშინვე დამორჩილდნენ მეფის ბრძანებას; მესამე წოდების წარმომადგენელი დარჩნენ, არ იშლებოდნენ, მაგრამ ვერც რამე გადაწყვიტათ: არ უნდოდათ მეფის ბრძანების ასრულება, მაგრამ მეფე ჯერ კიდევ მეფე იყო და ფრანგები შეჩვეული იყვნენ მის მორჩილებას; თან ბრძანება მეტად სასტიკი იყო და ადვილად შეიძლებოდა, რომ მას სასტიკ ღონისძიების ხმარება მოჰყოლოდა. ეროვნული კრება რომ ასეთ რყევაში იყო, შემოვიდა მეფის გამოგზავნილი კაცი, მიჰმართა კრების თავმჯდომარეს ბაილის და უთხრა—ხომ გაიგონეთ მეფის ბრძანება და რაღას უტყდითო! თავმჯდომარემ ვერ გასცა პირდაპირ პასუხი. მაგრამ ამ დროს წამოდგა გრაფი მირაბო და თავის მგრგვინავის ხმით უთხრა კარის კაცს: „წადით და უთხარით თქვენს ბატონს, რომ ჩვენ აქ შევეკრებილვართ ხალხის ნებით და მხოლოდ ხიშტებით თუ დაგვშლიანო“. მთელი კრება გაიტაცა მირაბოს ვაჟკაცურმა სიტყვამ და კარის კაცი კი შერცხვენილი გაბრუნდა. ამის შემდეგ მეორე დეპუტატმა სიესმა წარმოსთქვა აღუშფოთებელის ხმით: „ბატონებო, დღეს ჩვენ იგივე ვართ, რაც გუშინ ვიყავით, ამიტომ განვაგრძოთ ჩვენი თათბირი“-ო. კრება შეუდგა მუშაობას და სხვათა შორის, დაადგინა: საერო კრების წევრს ხელს ვერავინ ახლებს და ამ დადგენილების დამრღვევი სისხლის სამართალში მიეცემა, როგორც ხალხის მოღალატეო.

მეფე? მოსალოდნელი იყო, რომ მართლა ხიშტების საშუალებით დაშლიდნენ კრებას, მაგრამ ეს არ მოხდა; პირიქით, ოთხის დღის შემდეგ მეფემ უბრძანა წარჩინებულების დეპუტატებს მონაწილეობა მიეღოთ ეროვნულ

კრებაში. ლუი მეთექვსმეტე სუსტი და გაუბედავი ადამიანი იყო, ერთბაშათ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა; თან მთავრობა არ იყო მომზადებული, რადგან არ მოელოდა ხალხის წარმომადგენლების ასეთ გაბედულებას. ამგვარად მეფე იძულებული შეიქნა აპყოლოდა ეროვნულ კრების სურვილს.

ეროვნული კრება შეუდგა თავის მთავარ საქმეს ახალ სახელმწიფო წესწყობილების შემუშავებას: ჩვენ მონდობილი გვაქვს შევადგინოთ კონსტიტუცია, მანამ კი ერთი გროშიც არ უნდა მივცეთ მთავრობასო, ამბობდნენ დეპუტატები და ამ კონსტიტუციის შესადგენად რამდენიმე კომისია აირჩიეს. ჯერ უნდა გამოირკვეს ხალხის უფლებანი, შემდეგ მეფისა; უნდა გამოცხადდეს, რა უფლება ჰქონდეს ადამიანს და მამულიშვილს და რა დედა-აზრი, პრინციპი უნდა დაედვას სარჩულად სამეფოს ახალ კონსტიტუციასო, აი რაზედ თათბირობდნენ და მსჯელობდნენ უშიშრად და გაბედულად ხალხის წარმომადგენლები.

მთავრობა კი ამ დროს დაქირავებულ ჯარებს უყრიდა თავს პარიჟის ახლო, რომ ერთბაშად დაესურა ეროვნული კრება და მოესპო მთელი საქმე, ასეთის იმედით დაწყებული ხალხისაგან. კრება მიხვდა მთავრობის განზრახვას და მოსთხოვა მეფეს ჯარის წაყვანა; მეფემ არა თუ უარი უთხრა ხალხის წარმომადგენლებს, სულ ძველ წეს-წყობილების მომხრე მინისტრები დანიშნა, კრება არ შეშინებულა და მაშინვე დაადგინა: „მინისტრები, სამხედრო და სამოქალაქო უწყების პირები, რა ხარისხისა და მდგომარეობისაც არ უნდა იყვნენ, პასუხს აგებენ კანონის წინაშე, თუ ერის უფლებანი ან საერო კრების დადგენილებანი დაარღვიეს რითიმე“.

აქამდე ფარული ომი ეხლა აშკარა შეიქმნა: ერთის მხრივ იდგნენ მეფე და წარჩინებულები, მეორე მხრივ, ხალხის წარმომადგენელი ეროვნული კრება. ფიზიკური, მატერიალური ძალა (ჯარები) და უფლება, წარსული და მომავალი პირის პირ იდგნენ და, ანგარიშით, ბრძოლიდან მეფე უნდა გამოსულიყო გამარჯვებული, ჯარი, სამხედრო ძალა მეფის ხელთ იყო და რა წინაამდგეობა უნდა გაეწია საერო კრებას? უფრო გავლენიან დებუტატებს დაატუსაღებდნენ, დანარჩენებს თავ-თავიანთ სახლში გაგზავნიდნენ და ამ ხელად საქმეც გათავდებოდა. მართალია, ასეთი ძალმომრეობა დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა საფრანგეთში და ვერც ხაზინა იშოვიდა ამით საჭირო ფულს, ისიც მართალია, რომ მეფე ბოლოს იძულებული იქნებოდა ისევ მოეწვია ეროვნული კრება; მაგრამ მანამდე კი ისევ ძველი წესი იმოქმედებდა და რევოლიუციაც გადაიდებოდა.

რას უნდა ეშველა საერო კრებისათვის? სასწაული უნდა მომხდარიყო და საერო კრებასაც ჯარი ეშოვნა მეფის ჯარის წინააღმდეგ. და სწორედ ასეთი სასწაული მოხდა.

მთელი პარიზი ადგა და შეიარაღდა საერო კრების დასაცველად; პარიზი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. აჯანყებულ ხალხის რისხვა პირველად ყოველისა ბასტილიისაკენ მიმართა: ბასტილია, საზარელი საპატიმრო, ცხადი და ყველასათვის თვალსაჩინო ნიშანი იყო ძველის წესწყობილების საშინელებისა და ხალხმაც პირველად ეს საპატიმრო აიღო და მიწასთან გაასწორა (14 ივლისი).

პარიზელების აჯანყებას და ბასტილიის აღებას მოჰყვა ღრმა ცვლილება საქალაქო მმართველობაში;

პარიზის მაგალითით, ხალხმა ყველგან აირჩია ახალი წარმომადგენლები და ახალი მოურავები, ყველგან დააწესეს ეროვნული გვარდიები ხალხის უფლებების დასაცველად; ქალაქს სოფელი მოჰყვა და მთელი საფრანგეთი მოიფინა თვით-მმართველ თემებით, კომუნებით და ეროვნულ გვარდიებით; ქალაქი და სოფელი მზად იყო ებრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე განთავისუფლებისათვის და ეროვნული კრება, გუშინ რომ შიშში იყო თავის არსებობისათვის, ღირსებით, მაგრამ თან მწუხარე კილოთი ლაპარაკობდა, დღეს იგი ნამდვილი მეფეა, სუვერენია და შესაფერისადაც იქცევა.

14 ივლისი, ბასტილიის აღების დღე, შესანიშნავი მომენტია საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში; ამ დღეს განმტკიცდა საბოლოოდ ახალი ცხოვრება, ამ დღიდან იწყება ხალხის მეუფება, სუვერენიტეტი სახელმწიფოში.

ხალხის გატაცებამ გაიტაცა საერო კრებაც და 4 აგვისტოს ღამეს, ერთ სხდომაზე ერთიანად მოსპეს მთელი ნაშთი ძველ ფეოდალურ წესწყობილებისა: თავადაზნაურობამ უარი სთქვა ყველა თავის უპირატესობაზე და სამღვდელოებამ ათის თავზე შეიქმნა ნიადაგი პოლიტიკურ თანასწორობისა. დაუფიწყარია 4 აგვისტოს ღამე, მაგრამ 14 ივლისი უფრო ახსოვს ხალხს და ეს დღე ეროვნული დღესასწაულია დღესაც მთელის საფრანგეთისათვის.

მეფე დამორჩილდა ხალხის ნებას, რადგან სხვა გზა არ იყო, და ხალხის წარმომადგენლებმა სიხარულით მიიღეს მეფის ეს მორჩილება. როცა ამ ამბების შემდეგ დამარცხებული მეფე მოვიდა ეროვნულ კრებაზე, წარმომადგენლები ცივად დახვდნენ; მაგრამ როცა მეფემ

სთქვა—„ჩემი ხალხის წარმომადგენელი, თქვენთვის მომინდვია ჩემი თავი“, მთელი კრება აღტაცებაში მოვიდა და სავსებით შეურიგდა მეფეს, იმდენად ძლიერი იყო ჯერ კიდევ ხალხში მეფობის პატივისცემა. აქედან მაინც გულწრფელად რომ მიმხრობოდა ლუი მეექვსე-მეტე ხალხის საქმეს, შესაძლებელია რევოლიუციას არ ჰქონებოდა ისეთი ტრადიკული ხასიათი. მაგრამ ვერც მეფემა და ვერც მისმა მახლობლებმა ჰკუთვნა ვერ ისწავლეს, კიდევ ჰქონდათ იმედი ძველის წესის დაბრუნებისა და ხალხის მოტყუილებისა. საბედნიეროდ, ეს იმედი არა თუ გაუცრუვდათ, სასტიკადაც დაისაჯნენ ხალხის ლაღობისათვის.

მამულიშვილის უზღვრებათა დეკლარაცია.

1789 წლის 4 აგვისტოს ღამეს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საფრანგეთის ერის წარმომადგენლებმა ერთბაშად მოსპეს მთელი ნაშთი ძველ ფეოდალურ წესწყობილებსა: საფრანგეთის ნიადაგი გაიწმინდა მანე ბალახებისაგან და მზად იყო ახალი თესლი მიეღო; ხალხს ვეღარ დასჩაგრავდა ვერც აზნაური, სასულიერო წოდება წურბელასავით ვეღარ გამოსწოვდა მას სისხლს, წარჩინებულების უპირატესობას, რომელთა მიზეზით ხალხი შებორკილი და სულშეხუთული იყო, საბოლოოდ მოეღო ბოლო. ძველი დაინგრა და ახალი უნდა აშენებულიყო. მაგრამ რა საფუძველზე?

საფრანგეთის რევოლუციამდე ევროპაში უფლებების მართალი მართალი მეფე იყო; არსებობდა

აგრეთვე სწვა-და-სხვა უპირატესობანი წოდებრივი, თუ ქალაქებისა და კორპორაციებისა; როგორც ხალხი, ისე პიროვნებაც, სხვა-და-სხვა მოვალეობით დატვირთული, მოკლებული იყო ყოველს უფლებას. ამიტომ ახალ სახელმწიფო წყობილების შედგენამდე უნდა გამოკვეთილიყო პიროვნებისა და პიროვნებათა კრებულის—ერის—უფლებანი წინაშე მთავრობისა.

1789 წ. 26 აგვისტოს ეროვნულმა კრებამ შეიმუშავა და მიიღო ვერედ წოდებული დეკლარაცია (გამოცხადება) ადამიანის და მამულისშვილის*) უფლებათა. მოგყვავს სრულად ეს დიდ-მნიშვნელოვანი და შესანიშნავი დოკუმენტი.

1. ადამიანები თავისუფალნი და სწორუფლებანი იბადებიან და რჩებიან; საზოგადოებრივი განსხვავებანი შეიძლება იყოს დამყარებული მხოლოდ საზოგადო სარგებლობაზე.

2. ყოველ პოლიტიკურ საზოგადოების საგანია ადამიანის ბუნებრივ და განუშორებელ უფლებათა დაცვა, ეს უფლებანია—თავისუფლება, საკუთრება, უშიშრად ყოფა და უფლება დაჩაგვრის წინააღმდეგ მოქმედებისა.

3. უზენაესს უფლობის და მმართველობის, სუვერენიტეტის წყარო არის ერი; ვერც ერთი დაწესებულება და ვერც ერთი კერძო პირი უფლება-მოსილი ვერ იმოქმედებს, თუ ეს უფლება-მოსილობა ერისაგან არ წარმოსდგება.

*) ფრანგულ *citoyen*-ს ქართულად აქ მამულის-შვილად ვთარგმნით; მოქალაქე ვერ ხატავს „სიტუაინე“-ს; მართალია, სიტყვა „მამულიშვილი“ ხშირად პატრიოტსაც ნიშნავს, მაგრამ ამ მხრივაც უდგება იგი; „სიტუაინეს“-ს რევოლუციის დროს სიტუაინე და პატრიოტი სინონიმები იყო

4. თავისუფლება ის არის, რომ ადამიანი ყველაფერს ჩაიდენს, რაც მეორე ადამიანს არ ავნებს; ამიტომ ადამიანის ბუნებრივ უფლებათა განხორციელებას საზღვარს უდებს საზოგადოების სხვა წევრების ამისთანავე უფლებათა მოხმარება; ამ საზღვრის დამდეგი მხოლოდ კანონია.

5. კანონს შეუძლია აკრძალოს მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც მავნებელია საზოგადოებისათვის; რაც კანონით არ არის აკრძალული, დაშლა შეუძლებელია და ვერავის აიძულებენ ისეთი რამ ჩაიდინოს, რასაც კანონი არ თხოულობს.

6. კანონი საერთო ნების გამოხატულებაა: ყოველ მამულიშვილს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს, პირადათ თუ წარმომადგენელის საშუალებით, კანონების დადგენილებაში. კანონი, დამცველი თუდამსჯელი, ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს. რადგან ყველა თანასწორია კანონის წინაშე, ამიტომ ყველას აქვს უფლება ყოველ თანამდებობაზე მხოლოდ ნიჭისა და სათნოების მიხედვით.

7. თუ კანონი არ ამბობს, ან თუ ასრულებული არ არის ყოველი წესი, რომელსაც კი კანონი თხოულობს, ისე ვერავის მისცემენ პასუხის გებაში, ვერ დაატუსაღებენ და ციხეში ვერ ჩასმენ. ვინც თვითნებურ განკარგულებას გამოითხოვს, მოამზადებს, შეასრულებს ან სხვას შეასრულებინებს, უნდა დაისაჯოს; მაგრამ თუ ვინმე კანონისამებრ არის გამოწვეული ან დასატუსაღებელი, დაუყოვნებლივ უნდა დამორჩილდეს; წინააღმდეგობა ასეთ შემთხვევაში დაისჯება.

8. კანონი უნდა აწესებდეს მხოლოდ ისეთ სასჯელს, რომელიც თვალსაჩინოდ აუკალებელია. ვერავის

დასჯიან, თუ არ იმ კანონის ძალით, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე იყო გამოცემული, და თუ ამ კანონის ყველა წესი შესრულებული არ არის.

9. სანამ სასამართლო არ დაამტკიცებს დანაშაულს, ყველა უდანაშაულოდ ითვლება; ამიტომ როცა აუცილებელია ვისიმე დატუსაღება, ყოველი სისასტიკე, რომელიც კი საჭირო არ არის ტუსაღის გაქცევის ხელის შესაშლელად, კანონით აკრძალული უნდა იქმნეს.

10. ვერავინ დაისჯება თავის რწმენისათვის, თუნდაც ეს რწმენა სარწმუნოებას ეხებოდეს, თუ იგი არ არღვევს კანონის მიერ დამყარებულ წესწყობილებას.

11. აზრისა და შეხედულების თავისუფლად გამოთქმა ადამიანის უძვირფასესი უფლებაა; ამიტომ ყოველ მამულისშვილს შეუძლიან თავისუფლად ილაპარაკოს, სწეროს და ბეჭდოს: პასუხს აგებს მხოლოდ ამ უფლების ბოროტად მოხმარებისათვის კანონის მიერ აღნიშნულ შემთხვევებში.

12. ადამიანის და მამულისშვილის უფლებათა უზრუნველსაყოფელად აუცილებელია საზოგადოებისაგან დადგენილი მთავრობა; მაშასადამე, მთავრობა დაწესებულია საერთო სარგებლობისათვის და არა იმათთვის, ვისაც მთავრობა ჩაბარებული აქვს.

13. მთავრობის შესანახად და მართვა-გამგეობის ხარჯებისათვის აუცილებელია საერთო გადასახადები; ეს გადასახადები უნდა გაიწეროს ყველა მამულისშვილებს შორის შეძლების-დაგვარად.

14. ყველა მამულისშვილს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს, პირადათ თუ წარმომადგენლის საშუალებით, გადასახადების გაწერის გადაწყვეტაში, დასთანხმდეს ან არ დასთანხმდეს გაწერას, თვალ-ყურა უკდოს

შემოსულ გადასახადების დახარჯვას, უჩვენოს ამ გადასახადების ხასიათი, წყარო და მათის გადახდევინების წესი და ვადა.

16. საზოგადოებას უფლება აქვს ანგარიში მოსთხოვოს თანამდებობის პირს თანამდებობის ასრულებისა.

16. საზოგადოება, სადაც არ მოიპოვება საშუალება უფლებათა უზრუნველ-ყოფისა, სრულიად მოკლებულია ნამდვილ წეს-წყობილებას (კონსტიტუციას).

17. რადგან საკუთრების უფლება დაურღვეველი და წმინდაა, ამიტომ ეს უფლება ვერავის წაერთმევა; გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას თხოულობს საერთო სარგებლობა, კანონიერის წესით შემოწმებული, ამ შემთხვევებშიაც მესაკუთრეს უნდა მიეცეს სამართლიანი საზღაური.

აი ეს არის ადამიანის უფლებათა ის დეკლარაცია, რომელშიაც გამოიხატა საფრანგეთის ერის წარმომადგენელთა სულის კვეთება და რომელმაც ასე დიდი გავლენა იქონია როგორც საფრანგეთზე, ისე მთელ ევროპაზედაც.

ყველა წარმომადგენელი როდი იყო თანახმა ადამიანის უფლებათა გამოცხადებისა: ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, რომელიც პრინციპიალურ თანხმობას უცხადებდა დეკლარაციაში გატარებულ დედა-აზრს, ნაადრევად სთვლიდა ამ საქმეს—მუშა ხალხი მოუმზადებელია, ცუდად მოიხმარს მინიჭებულ უფლებებს და სახელმწიფოს საქმეები აირ-დაირვეაო, ამტკიცებდნენ არისტოკრატიის მოადგილედ გახდომის მსურველნი. მაგრამ ვერ გასჭრა ბურჟუაზიის ამ წინდახედულმა და ეგოისტურმა გონიერებამ: ეროვნული კრება გაიტაცა ხალხის თავდა-

დებამ თავისუფლებისათვის; გასქრა ხალხის ინტერესების დამცველთა მხურვალე მჭევრმეტყველებამ: მარტო ხალხს შეუძლიან აიძულოს ყველა პატივი სცენ მტარვალობის წინააღმდეგ მიმართულ კანონებს; ამიტომ პირველად ყოვლისა ხალხის უფლებანიუნდა გამოვაცხადოთ და აღვიაროთ, ამტკიცებდნენ ეს ორატორები.

რას წარმოდგენს შინაარსით „ადამიანისა და მამულიშვილის უფლებათა დეკლარაცია“?

ერთის მხრივ, იგი არის წარსულის უარ ყოფა, ძველ წეს-წყობილების მოსპობის აღნიშვნა და გარდუვალი ზღუდე ამ წეს-წყობილების დაბრუნებისათვის.

მერე მხრივ, ეს დეკლარაცია პროგრამაა მომავალ მოქმედებისა, ახალ სახელმწიფო წეს-წყობილების დამყარებისა. და ეს პროგრამა ნამდვილი დემოკრატიულია, თუ მეათე მუხლს გამოვრიცხავთ: აქ რომ სარწმუნოების სრული თავისუფლება იყოს გამოცხადებული, მთელი დეკლარაცია ერთი მთლიანი გეგმა იქნებოდა მომავლისათვის. მართალია, დეკლარაციის გამოცემის შემდეგ, 1792 წლამდე, ბურჟუაზიამ ისე მოაწყო საქმე, რომ დეკლარაციის დემოკრატიული შინაარსი სრულიად მივიწყებული იყო, მაგრამ ამის მიზეზი დეკლარაცია კი არ იყო, ირამედ ის გარემოება, რომ ბურჟუაზია შეგნებული კლასის იყო, გაბატონებას მოწადინებელი. და ხალხი-კი ჯერ ვერ იყო სავსებით მიმხვდარი თავის ნამდვილ ინტერესებს.

ყველას თანასწორი უფლება აქვსო, ამბობს დეკლარაცია, და რას ნიშნავს ეს, თუ არ ნამდვილ დემოკრაციას, ე. ი. საყოველთაო სარჩევნო უფლებას.

ყოველი უფლება ერისაგან გამოდის: ერი მეუფე, სუვერენია, გვეუბნება დეკლარაცია, და ეს ხომ რეს-

პუბლიკაა, რადგან სადაც ხალხია მეუფე, იქ მეფეს ადგილი ვერ ექნება.

ეს პოლიტიკური მხარეა დეკლარაციისა და, თუ იგი მაშინვე არ განხორციელდა, დღეს ხომ იგი სინამდვილესა საფრანგეთისათვის: საყოველთაო საარჩევნო უფლებაც არის იქ და ამის შესაფერი ფორმა სახელმწიფო წესწყობილების—რესპუბლიკა.

სამაგიეროთ, ჯერ კიდევ დღესაც განუხორციელებელია სოციალ-ეკონომიური მხარე 1788 წლის დეკლარაციისა.

დეკლარაციის პირველი მუხლი ამბობს: ადამიანები იბადებიან და ჩიებიან თავისუფალნი და თანასწორ-უფლებიანნი. რისი თქმა უნდოდათ დეკლარაციის შემდეგენელთ ამ მუხლით?

„ცხადი აზრი ამ მუხლისა ის არის, რომ უსამართლობაა ბუნებრივ უთანასწორობას წეს-წყობილებამ ზედ დაურთოს ხელოვნური უთანასწორობაც. ერთი ადამიანი მეორეზე ღონიერი და გონიერი გამოდის, და ნუ თუ სამართალია, რომ ამ ღონიერმა და გონიერმა კაცმა აკვანშივე ნახოს ფული ან ადგილმამული, რომელიც აორკეცებს და ასამკეცებს მის ძალღონეს ცხოვრებისათვის ბრძოლაში? ნუ თუ სამართალია, რომ სულელმა ან ბოროტმა მიიღოს მემკვიდრეობა, რომელიც უფრო მავნებელად გახდის ამ სისულელესა და ბოროტებას? ნუ თუ სამართალია, რომ კანონის ძალით იყვნენ დაბადებით მდიდარნი და დაბადებათ ღარიბნი“?..

რასაკვირველია, ეს ნამდვილი უსამართლობაა, მაგრამ ეს იმ დროს ძალიან ცოტას ესმოდა. თუ ბურჟუაზიამ ის მოახერხა, რომ პოლიტიკური უფლებანი მათთვისა და ხალხი მშრალზე დასტოვა საარჩევნო ცენზის

დაწესებით, სოციალ-ეკონომიური თანასწორობა ხომ უფრო რთული და ძნელი შესათვისებელია და ხალხის მოტყუილებაც ამ მხრივ უფრო ადვილი იყო.

თანასწორობის აზრი ერთობ მარტივია, მაგრამ მისი გათვალისწილება და შეთვისება მთელის სიგრძე-სიღრმე სიგანით მოითხოვს ხანგრძლივ შრომასა და გამოცდილებას. დღესაც კი ბევრს არ ესმის, რომ როგორც პოლიტიკური უპირატესობაა (ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობა) უსამართლობა, ისე სოციალ-ეკონომიურიც; თუკი ეს პოლიტიკური უპირატესობა წაერთვა მდიდასა და წარჩინებულს, სოციალ-ეკონომიურიც (მემკვიდრეობის უფლება) უთუოდ უნდა წაერთვას. რომ მარტო მდიდადრებსა და წარჩინებულებს არ ესმოდეთ ეს უსამართლობა, დიდი არაფერი იქნებოდა; მაგრამ არ ესმით იმათაც-კი (გარდა შედარებით მცირე ნაწილისა), ვინც დაინტერესებულია ამ უსამართლობის მოსპობაში. მაგრამ აქ მეტია ამაზედ ლაპარაკი. მხოლოდ ის დავიმახსოვროთ, რომ „დაქანის და მამულასშვიდის უფლებათა დეკლარაცია შეიცავს დემოკრატიულსა და სოციალურ რესპუბლიკას. ნამდვილად-კი რა მოჰყვა ასეთ დეკლარაციას?

გუჩუაზიული წესწყობილება და პირველი დემოკრატები.

მალალი, კეთილშობილი და სამართლიანი აზრებია გავრცელებული „ადამიანის და მამულიშვილის უფლებათა დეკლარაციაში“ და რაკი ეს დეკლარაცია უნდა დადებოდა საფუძვლად საფრანგეთის ახალ წეს-წყობი-

ლებას, ეს უკანასკნელიც ისეთივე მაღალი და სამართლიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნიმდვილად კი სულ სხვას ვხედავთ,

რა ცვლილება შეიტანეს საფრანგეთის ხალხის ეკონომიურ მდგომარეობაში? 4 აგვისტოს მოსპვს რაც კი რამ იყო დარჩენილი ბატონყმურ-ფეოდალურ წესწყობილებისაგან: გლეხის მიწა-წყალი განთავისუფლდა ყოველგვარ საბატონო გადასახადისაგან. მთელის სასულიერო წოდებისა და სამშობლოს მოღალატე თავადაზნაურობის მამულები ერის საკუთრებად ჩარიცხეს, ნაჭერ-ნაჭერ დაჰყვეს და ისე მიჰყიდეს მსურველებს. გაამრავლეს წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი. ეს არის მთელი ცვლილება ახალ საფრანგეთის ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში. აზრად არავის მოსვლია შეხებოდნენ, მაგალითად, მემკვიდრეობის უფლებას, უთანასწორობის მთავარ წყაროს, თუმცა დეკლარაციის პირველი მუხლი ამბობს— ადამიანები სწორ უფლებიანი იბადებიანო; არავის არ უკითხავს როგორ შეიძლება ლაპარაკი თანასწორ-უფლებიანობაზე იქ, სადაც ერთი დაბადებისათნავე მილიონერია, მემკვიდრეობის უფლების წყალობით, და მეორეს კი პერანგიც არა აქვს შესამოსად.

ერთის სიტყვით, სოციალ-ეკონომიურ რევოლიუციასზე ამ დროს არავინ ჰფიქრობდა.

როგორ-ღა შეასრულეს პოლიტიკური რევოლიუცია? რა წესწყობილება ან როგორი კონსტიტუცია მიანიჭეს საფრანგეთის ერს?

თუ ყველა თანასწორ-უფლებიანია, თუ ყოველივე მთავრობა ერისაგან წარმოსდგება, თუ ერია მეფე და სუვერენი,—და ამას პირდაპირ ამბობს დეკლარაცია,—კონსტიტუციაც შესაფერი უნდა იქნეს—დემოკრატიუ-

ლი, საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე დამყარებული რესპუბლიკა.

დიდ რევოლუციის პირველ ხანაში ეს საგანი სულ სხვანაირად ესმოდათ.

მთელი ეროვნული კრება იმ აზრს ადგა, რომ საფრანგეთისათვის აუცილებელი იყო მეფობა, მონარქია. რობესპიერი, მარატი შემდეგ შეურთებელი მტერნი მეფობისა, ერთ სიტყვასაც არ ამბობენ მეფობის წინააღმდეგ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს. კამათი ერის წარმომადგენლების შორის მხოლოდ იმის გამო იყო, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს მეფობა. ზოგი, რომელიც კი უნებლიეთ ურიგდებოდა ძველის წესწყობილების მოსპობას, თხოულობდა ძლიერ მეფეს, შესაფერის უფლებით აღჭურვილს, ზოგი კი მოწადინებული იყო, „მეფე იმდენად ბედნიერ მდგომარეობაში ყოფილიყო ჩაყენებული, რომ ავის ჩადენა ვერ მოეხერხებინა“, ძალიანაც რომ მოენდომებინა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ ეროვნულმა კრებამ მიიღო შემდეგი მთავარი მუხლი კონსტიტუციისა: „საფრანგეთის მთავრობა მონარქიულია; საფრანგეთში კანონი ყველაზე მაღლა დგას; მეფე მეფობს მხოლოდ კანონით და მხოლოდ ამ კანონის ძალით შეუძლია მორჩილება მოითხოვოსო“.

ამ მუხლის მიღებით საბოლოოდ მოისპო ძველი მეფობა; ახლა მეფე არის მეფე „ნებითა ერისათა“ და რომ ასეთი ხასიათი მეფობისა უფრო ცხადი ყოფილიყო, ეროვნული კრება კონსტიტუციაში იმეორებს დეკლარაციაში ნათქვამს—„ყოველივე მთავრობა წარმოსდგება ერისაგან და შეუძლებელია აქედან არ წარმოსდგებოდესო“.

რაკი ეგრეა, ერის წარმომადგენლობა, რომელსაც

ორ წელიწადში ერთხელ ირჩევს ხალხი, განუწყვეტლივ უნდა ზოქმედებდეს, იგი მუდმივი დაწესებულებაა, სრული საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი. მართალია, ამ დაწესებულების ყოველ დადგენილებას მეფის დასტური უნდა და მეფესაც შეუძლია ეს დასტური არ მისცეს (ეგრედ წოდებული „ვეტოს“ უფლება), მაგრამ ეს უფლებაც ძალიან შეკვეცილია: თუ კი ერთხელ მეფის სადასტუროდ წარდგენილ კანონ-პროექტს, მეორედ და მესამედ წარუდგენენ მეორედ და მესამედ არჩეული წარმომადგენლები, მეფემ დასტური უნდა მისცეს და თუ არ მისცა, ისედაც დაკანონდებაო,—აი რა დაადგინა ეროვნულმა კრებამ საკანონმდებლო კრებულის ასამდლებლად და მეფის უფლების შესამცირებლად.

განა რომ ყველაფერი რიგზე მოეწყო ძველ თვითმპყრობელობის შესაბორკავად, მაგრამ ვინ არის ეს ერი, რომლიდანაც წარმოსდგება ყოველი მთავრობა? როგორ ესმოდა სიტყვა ერი ეროვნულ კრებას? როგორც ყველა ფრანგები განურჩევლად წოდებისა, ქონებისა და სქესისა, თუ როგორც რომელიმე უპირატესობიანი ნაწილი ერისა?

როგორც ვიცით, წოდებრივობა უკვე მოსპობილი იყო: ამ მხრივ ყველა ფრანგები თანასწორი იყვნენ. წოდება მოიხპო, მაგრამ მისი ადგილი ქონებამ დაიკავა. ნამდვილი პოლიტიკური უფლება, ე. ი. უფლება მონაწილეობისა საკანონმდებლო დაწესებულებაში არჩეულ წარმომადგენელის საშუალებით, აკუთვნეს მხოლოდ ცოტად თუ ბევრად შეძლებულებს; ვინც სულ არაფრის პატრონი იყო გარდა თავის მარჯვენისა, ან ვისაც ისე ცოტა ჰქონდა, რომ სახელმწიფოს პირდაპირ გადასახადს არ აძლევდა, არც პოლიტიკური უფლება ჰქონდა. „სა-

ხელმწიფოში ყველას აქვს პასივურ მამულისშვილის უფლება; ყველას აქვს უფლება პიროვნების, საკუთრების და თავისუფლების უზრუნველყოფაზე, მაგრამ ყველას არა აქვს უფლება მიიღოს აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმნაში, ყველა ვერ იქნება აქტიური მამულისშვილიო“, ამბობდა განთქმული სიესი, შეძლებულების ან, ეხლანდელი სიტყვა რომ ვიხმაროთ, ბურჟუაზიის უფლებათა საუკეთესო გამომხატველი და დამცველი. ერთის სიტყვით, თუ დეკლარაციაში უკვე ჩასახული იყო დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა, ახალ კონსტიტუციაში, ეროვნულ კრების უმრავლესობის მეცადინეობით, ცხადი იყო ტენდენცია ბურჟუაზიულ წესწყობილებსა.

ნამდვილი ხალხი, ბასტილიის ამღები და ეროვნულ კრების მხსნელი მეფისა და სასახლის შეთქმულებისაგან, ჯერ ვერც კი მიხვდა, თუ როგორის უმადურობით გადაუხადეს მისი დიადი ღვაწლი, და ამიტომ არც პროტესტი გამოუცხადებია ასეთ აშკარა უსამართლობის გამო. პირიქით, ერთხელ კიდევ იხსნა საფრანგეთი ძველის წესწყობილების ხელ-ახალ გაბატონებისაგან.

მეფე პარიზის ახლო სცხოვრობდა ვერსალის სასახლეში, და სანამ ეროვნულ კრებაში ასეთი გაცხარებული პოლიტიკური მოქმედება იყო, აქაც არ ეძინათ. დედოფლის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით დიდი შეთქმულება გაიმართა; მეფე უნდა გაეჭკიათ ვერსალიდან, მიეყვანათ მეცის სიმაგრეში, იქ ჯარისთვის თავი მოეყარათ, პარიზს თავს დასცემოდნენ და აღედგინათ ძველი რეჟიმი. ყველაფერი მზად იყო ამ განზრახვის შესრულებისათვის და შეასრულებდნენ კიდევ, მაგრამ სცენაზე ისევ გამოვიდა პარიზის ხალხი და რევოლიუციაც

გადარჩა დიდ განსაცდელს: შეიარაღებული მივიდა ვერსალში, სასახლეს ალყა შემოარტყა და მანამ არ მოისვენა, სანამ მეფე და სასახლე პარიჟში არ გადმოასახლა. (1789, 5 ოქტომბერი). ამ დროიდან საფრანგეთის მეფე ლუი მეთექვსმეტე შეიქნა ტყვე პარიზელებისა; პარიზელები იყვნენ თავდები, რომ იგი ვერსად წავიდოდა რევოლიუციის წინააღმდეგ სამოქმედოთ; თვითონ პარიჟში კი ვერას გააწყობდა, რადგან თანამგრძნობი თითქმის არავინ ჰყავდა, გარდა უძლურ ჯარისკაცებისა. ძველი წესწყობილების მთავარი მოტრფიალენი საზღვარგარეთ იყვნენ, ან საზღვარზე იდგნენ და ელოდნენ მეფეს, რომ ენერგიულ მოქმედებას შესდგომოდნენ.

და ნუ თუ რევოლიუციის ერთად ერთ მხსნელ ხალხს დამცველი არავინ გამოუჩნდა, როცა იგი არაფრად მიიჩნიეს და მთელი პოლიტიკური ძალა და გავლენა ქონების პატრონებს არგუნეს?

იყვენ დამცველები და მალე მათი რიცხვი ისე გაიზარდა, რომ მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ.

მართალია, ეროვნულ კრების პირველ დღეების განმავლობაში არავინ ყოფილა ნამდვილი დემოკრატი, საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრე, მაგრამ მაშინ კიდევ ხალხს არ იცნობდნენ; იგი მხოლოდ უვიცი, შეუგნებელი ბრბო ეგონათ. ხალხის თავდადებამ თავისუფლებისათვის და ბასტილიის აღებამ ხალხისავე ინიციატივით ბევრს თვალი აუხილა და დაანახვა ხალხის ნამდვილი ღირსება-ნაკლულევენებანი.

პირველად ყველაზედ უკეთ ნამდვილი დემოკრატიული შეხედულება ეროვნული კრების ასეთი უსამართლობის გამო კამილ დემულენმა გამოსთქვა:.. აფრანგეთში არისტოკრატიული მართვა-გამგეობა შე-

ზოიღეს (ქონების, ცენზის შემოღებით საარჩევნო უფლებისათვის) და ეს უდიდესი გამარჯვებაა ცულ მამულისშვილებისა ეროვნულ კრებაში. ამ დადგენილების სრულ უაზრობის დასამტკიცებლად საკმარისია ვსთქვათ, რომ ჟან-ჟაკ რუსსო, კორნელი, მბლი ვერ იქმნებოდნენ არჩეული ხალხის წარმომადგენელად. ერთმა მევაზეთემ გამოაცხადა, რომ სასულიერო წოდების წარმომადგენლებ შორის ერთის გარდა ყველა მომხრე იყო დადგენილებისაო... საზიზღარნო მღვდელნო, ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ თქვენი ღმერთი ვერ გახდებოდა ხალხის წარმომადგენელი? იესო ქრისტე, რომელსაც ადიდებთ თქვენ ეკლესიაში, უუფლებო ბრბოში ჩარიცხეთ და თქვენ უნდა გცეთ პატივი, თქვენ პროლეტარ ღმერთის, პასსივურ მამულისშვილის მღვდლებს? პატივი ეციოთ სიღარიბეს, რომელიც თქვენმა ღმერთმა გააკეთილშობილა! რა გსურთ, სთქვით, „აქტიურ მამულიშვილს“ რომ ასე ხშირად იმეორებთ? აქტიური, მომქმედი მამულისშვილები ისინი არიან, ვინც ბასტილია აიღო, ვისაც მიწა გულს უხსნის; მცონარე სასულიერო წოდება და კარის კაცნი კი, მიუხედავად თავიანთ ღიდ ქონებისა, ემზგავსებიან თქვენის სახარების იმ ხეს, რომელსაც ნაყოფი არ მოაქვს და რომელიც ცეცხლში ჩასაგდებაა“.

ასევე მკაცრად ჰკიცხავს ეროვნულ კრებას მეორე ჟურნალისტი ლუსტალო, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს, რომ მდიდრების არისტოკრატია უკვე დაწესებულია ურცხვად ეროვნულ კრების ამ დადგენილებითო.

ნელ-ნელა ხალხიც იღვიძებდა და ხედავდა, რომ მეტად უსამართლოდ მოექცნენ. პირველად, როგორც მოსალოდნელი იყო, პარიზმა ამოიღო ხმა. რამდენიმე

განცხადება შეიტანეს ეროვნულ კრებაში და თხოულობდნენ საარჩევნო ცენზის მოსპობას: შეუძლებელია, უკვე მიღებულ დეკლარაციის უარყოფელია, რომ განთავისუფლებულ საფრანგეთშიაც იყოს ისეთი კლასი, რომელიც უნდა დაემორჩილოს მისგან არ შექმნილ კანონს; ხალხი მხოლოდ იმ კანონს უნდა ემორჩილებოდეს, რომელიც თვითონ გაძოჴციაო.

უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა, როცა პირველად იხმარეს ახალი კანონი საქალაქო არჩევნების დროს. აქ კი თვალნათლივ, საქმით დაინახა ყველამ ამ უსამართლო დადგენილების მთელი სიგრძე-სიგანე და უკმაყოფილებაც უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამ გაძლიერებულ უკმაყოფილების საუკეთესო გამომთქმელი მარატი იყო. განთქმული დემაგოგი სწერდა თავის გზეთში, რომელსაც „ხალხის მეგობარი“ ერქვა: „ნამდვილია, რომ რევოლიუციის გამარჯვება წვრილ ხალხის საქმეა და არა ნაკლებ ნამდვილია ისიც, რომ ბასტილია აიღო უმთავრესად ათი ათასმა ღარიბმა მუშამ“. რიცხვი აქ გადაჭარბებულია, მაგრამ მარატი არ აჭარბებს, როცა ამტკიცებს, რომ გაჩნდა ახალი უპირატესობიანი კლასი და როცა ამ კლასს, ბურჴუაზიას, მრისხანე მუქარას უთვლის:

„რა მოვიგეთ, რომ ძირს დავეცით კეთილშობილთა (თვალ-აზნაურობის) არისტოკრატია, თუ მის ადგილს დაიჭერდა მდიდრების არისტოკრატია, თუ ჩვენ იძულებული ვართ ახლად გაბატონებულების უღელ ქვეშ ვიკვნესოთ, ისევ ძველი წესი დაგვეტოვებია... სამშობლოს მამანო (ეროვნულ კრების წევრნი) ჯერ ბედი გწყალობთ: დღეს ჩვენ არ ვთხოულობთ გაგვინაწილოთ თქვენი ქონება, რომელიც განგებამ საერთო საკუთრე-

ბად გააჩინა; დააფასეთ სიდიდე ჩვენის ზომიერებისა. თქენის ინტერესებისათვის, დავიწყეთ რამდენიმე წუთით თქვენი წარჩინებულობა, თავი წაართვით ტკბილ ოცნებას, რომ დიდი ვინმე ბრძანდებით, და კარგად მოისაზრეთ ის საშინელი შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს თქვენს წინდაუხედავობას. უარს გვეუბნებით მამულისშვილის უფლებაზე ჩვენის სიღარიბის გამო და მაშ ძრწოდეთ, რომ ზედმეტი ქონება არ წაგართვათ და ამ გზით არ შევიძინოთ უფლებანი. გეშინოდესთ ჩვენის გულის დასერვისა უსამართლობით; გეშინოდესთ ჩვენის მიყვანისა სასოწარკვეთილებამდე; ძრწოდეთ, თუ მარტო შურის ძიების გზა დაგვრჩა და იძულებული გავხდით უკიდურესობა ჩავიდინოთ ან სრულიად მიგანებოთ თავი. თქვენი ადგილი რომ დავიკავოთ, საკმარისია გულზე ხელი დავიკრიფოთ, მაშინ თქვენვე უნდა ემსახუროთ თქვენ თავს, საკუთარის ხელებით დაამუშავოთ მიწა და ამით ჩვენი სწორი გახდებით; მაგრამ რაკი უმცირესობას შეადგენთ, იმედი-კი გექნებათ, რომ შრომის ნაყოფი თქვენი იქნება? ჯერ კიდევ შეგიძლიათ თავიდან აიშოროთ ის რევოლიუცია, რომელიც აუცილებლივ მოჰყვება ჩვენს სასოწარკვეთილებას. პირი იბრუნეთ სამართლისაკენ და აგვხადეთ სასჯელი, თქვენგან მოყენებული!“

მარატმა პირდაპირ და მკაფიოდ წამოაყენა როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური საგანი დემოკრატიისა და მისი გაზეთიც დღითი-დღე უფრო და უფრო ვრცელდებოდა. დემოკრატიული მოძრაობა ღონიერდებოდა; ახლად გაბატონებულ ბურჟუაზიას გაუჩნდა მებრძოლი მეტოქე; ფეხი მოიკიდა დემოკრატიულმა პარტიამ.

პირველი რესპუბლიკელები.

საფრანგეთის ერის წარმომადგენლების მოწვევიდან დაწყებული 1790 წლის გასვლამდე რევოლიუცია სწარმოებდა თანხმობით: ძველ წესწყობილების ყველა მოწინააღმდეგე ალტაცებით მიეგება თვითმყრობელობისა და არისტოკრატის დაცემას; ძმობის მშვენიერი წელიწადი იყო 1790 წელიო, ამბობდნენ და მართლაც აგრე იყო; მაგრამ ისიც მართალია, რომ ძველის ნანგრევებზე გაბატონდა შეძლებული ბურჟუაზია, რომელმაც ხელში იგდო მთელი პოლიტიკური ძალა: ბურჟუაზიამ თავის თავი ერთად გამოაცხადა, უღალატა ძმობის პრინციპს, რადგან ღარიბი უმრავლესობა მშრალზე დასტოვა.

ამიტომაც მოხდა, რომ ეროვნულ კრების ხმავეწყობილება აქა-იქ დაირღვა: ხალხის ნამდვილი გულშემატკივარნი კარგად ხედავდნენ ახალ არისტოკრატის გაბატონებას და არ მალავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. სამწუხაროდ, თვითონ მოტყუებული ხალხი ვერ გრძნობდა სავსებით, რომ ის მართლა მოტყუებულია, და ნახსენები გულშემატკივარნი უფრო უჯარო გენერლები იყვნენ. მაგრამ კამილ დემულენსა და ლუსტოლას თანდათან მხარში უდგებოდნენ ახალი მებრძოლნი; „მე რესპუბლიკელი ვარ და მეფეების წინააღმდეგ ვსწერ. მეფე დაბადებითვე მტერია თავისუფლებისა“-ო, სწერდა დემულენის ერთი თანამოაზრე. მალე გაზეთიც გაუჩნდათ რესპუბლიკელებს; ეს გაზეთი აშკარად, პირდაპირ ქადაგებდა რესპუბლიკის უპირატესობას მეფობის წინაშე: „... ჩვენს ხსოვნასა და კონსტიტუციაში სახელიც-

კი არ უნდა იყოს მეფისა; და თუ შევირჩინეთ, არ მგონია, ორი წელიწადი ვიქნეთ თავისუფალი“-ო.

გახეთი ვრცელდებოდა და ავრცელებდა თავის მიმართულებას; სხვა-და-სხვა ჯგუფიდან თანაგრძნობის წერილები მოსდიოდა რედაქციას.

1790 წლის დასასრულს საფრანგეთში უკვე იყო პატარა პარტია რესპუბლიკელებისა, მაგრამ ეს პარტია შესდგებოდა არა ნამდვილ ხალხის შვილებისაგან: აქ იყვნენ განათლებული პირები ბურჟუაზიის და არისტოკრატის ინტელიგენციის წრებიდან. პარტია მაინც არსებობდა უკვე ეროვნულის, მიმართულებით; იგი ლაპარაკობდა და სხვებსაც ალაპარაკებდა თავის თავზე.

თუ რესპუბლიკური მიმართულება იყო ამ დროს, სოციალისტურიც იყო, თუმცა უფრო ნაკლებად გამოჩვეული; ეკონომიური უპირატესობა შეძლებულებისა ჯერ არ იწვევდა მწვავე გრძნობებს. რადგან უკვე მომხდარ ცვლილებით გლეხები კმაყოფილი იყვნენ და არც მრეწველობა ყოფილა ისე განვითარებული, რომ მუშათა საქმე გამწვავებული ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, როცა ბურჟუაზია პოლიტიკურად გაბატონდა, აქა-იქ გაისმა პროტესტი ეკონომიურ უპირატესობის წინააღმდეგ: 1791 წლის დასაწყისში დემოკრატებ შორის ვხედავთ სოციალისტებსაც.

ეროვნულმა კრებამ მოსპო მაიორატი: უფროს შვილს არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა უმცროსებთან შედარებით, ყველას თანსწორი წილი ჰქონდა მემკვიდრეობაში. ამის გამო სწერდა მღვდელი გურნანი, პირველი სოციალისტთაგანი რევოლუციის დროსა: „...ეროვნული კრება შეეხო მდიდრების საკუთრებას— დაადგინა, რომ შვილებს თანასწორი წილი უნდა ჰქონ-

დეთ მემკვიდრეობაშიო. ეხლა უნდა შეეხონ ღარიბების საკუთრებას და თანასწორი წილი დაუდონ ყოველ მემამულის შვილს: მემამულის შვილებიც ხოც მშები არიან, ერთის ოჯახის შვილნი, თანასწორი მონაწილენი საერთო მემკვიდრეობისა.“ გურნანის აზრით, ადგილ-მამულის განაწილებაიდე მესამელა მათელი გასაყოფ ტერიტორიისა უნდა გამოიყოს სათადარიგო მაწებად, რომ ყოველ ახალ მამულის-შვილს დაბადებისთანავე მიეზომოს კუთვნილი რაოდენობა ადგილისა, ისე როგორც ყოველ მამული-შვილის სიკდილის შემდეგ მიწა უბრუნდება სათადარიგო თანხას. მიწაზე დაწესებული იქნება სახელმწიფოსაგან დაწესებული გადასახადი, რომელიც საკმარისი იქნება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად; შეიძლება გაქირავდეს მიწა ან იჯარით გაიცეს, მაგრამ არც გაყიდვა არც მემკვიდრეობითი გადაცემა არ შეიძლება; სამაგიეროთ, მოძრავი ქონება ისევ დარჩება კერძო საკუთრების საგნად.

სოციალისტი იყო მეორე მღვდელი კლოდ-ფოშეც და ზოგი სხვაც, მაგრამ დემოკრატიის მეთაურები წინააღმდეგი იყვნენ სოციალიზმისა, მათ შორის რობესპიერიც; ამ დროს სოციალისტებს უყურებდნენ როგორც უცნაურ ოცნების ხალხს, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ერთის წლის განმავლობაში ბიუროკრატიის გაბატონებიდან უკვე გაჩნდნენ ასეთი უკმაყოფილო ელემენტი, რომელიც მიმხდარი იყო, რომ ბურჟუაზიის მიერ შექმნილ პოლიტიკურ უპირატესობის ნიადაგი ეკონომიური, ქონებრივი უპირატესობა იყო, და რომელიც სწორედ ამ ქონებრივ უპირატესობის მოსპობას იყო მოწადინებული.

ამ დროს გაჩნდნენ საფრანგეთში ეგრედ წოდებუ-

ლი ფემინისტებიც, ე. ი. ქალთა და კაცთა გათანაღწო-
რების მომხრენი: ქალსაც იგივე უფლებანი უნდა მიე-
ნიჭოს, რაც კაცს აქვსო,—ამტკიცებდნენ ესენი და მთა-
წარი მიზეზი ასეთ შეხედულების გავრცელებისა თვით
ქალების მოქმედება იყო: ამათ იმ თავითვე დიდი წილი
უდევთ რევოლიუციის საქმეში, დიდი სამსახური გაუ-
წიეს განთავისუფლებას; სიტყვით თუ საქმით ქალი თავ-
გამოდებული იყო რევოლიუციისათვის და მართლაც,
დიდი უსამართლობა იქნებოდა თანამედროვეთაგან, რომ
ასეთი ღვაწლი არ დაეფასებიათ და არ მოენდომებიათ
მისი დაჯილდოვება. მართალია, დიდი უმრავლესობა წი-
ნააღმდეგი იყო ფემინისმისა, მაგრამ ბევრი შესანიშნავი
პირი გულწრფელად თხოულობდა ქალების სრულ-უფ-
ლებიანობას.

ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე დემოკრატები, რო-
გორც ზემოთ იყო ნათქვამი, პირველ ხანებში თითქმის
უჯარო გენერლები იყვნენ, რადგან თვით ხალხი ვერ
მიმხვდარიყო სავსებით, რა უსამართლობა მიაყენა მას
ბურჟუაზიამ. ხალხის გასათვითცნობიერებლად, გარდა
წერისა, დემოკრატებმა მიჰმართეს აქტიურ სიტყვიერ
პროპაგანდას: დააარსეს „სახალხო ან ძმური საზოგადო-
ებანი“, იკრიბებოდნენ დანიშნულ ადგილს და ხალხს
გონებას უვითარებდნენ თანამედროვე მოვლენათა ახს-
ნით და დაფასებით. რადგან მშრომელს თავისუფალი
დრო ცოტა აქვს, კრებები იმართებოდა მეტ წილად
კვირა დღეებში. შიგნებული მამულისშვილნი უკითხავ-
დნენ ხალხს დეკლარაციას, უხსნიდნენ თითოეულ მუხლს
და აჩვენებდნენ მას იმ აზრს, რომ ღარიბსაც იგივე პო-
ლიტიკური უფლებანი უნდა ჰქონდეს, როგორც მდი-
დარს, რომ აუცილებელია შემოდებულ იქმნას საყოველ-
თაო საარჩევნო უფლება.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმის სული და გული ქალები იყვნენ, უფრო თავდადებით ესენი სცდილობდნენ ასეთ საზოგადოებათა გავლენის გავრცელებას და ამ გზით ხალხის გამოფხიზლებას.

ამ საზოგადოებათა ქადაგებას და ენერგიულ მოქმედებას უნდა მიეწეროს, რომ ბურჟუაზიის გაბატონების წინააღმდეგ მოძრაობამ უფრო და უფრო მიიღონამდვილი სახალხო მოძრაობის ხასიათი და ამ მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი რობესპიერი შეიქმნა. 1791 წლის აპრილში რობესპიერმა დაბეჭდა სიტყვა, რომელშიაც კატეგორიულად თხოულობდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. შესანიშნავი სიტყვაა ეს სიტყვა და დიდი მნიშვნელობაც მოიპოვა მან დემოკრატიის გაძლიერების საქმეში. რას ამტკიცებდა რობესპიერი?

ბურჟუაზიულ წესწყობილებს მომხრენი იმ აზრის იყვნენ, რომ ვისაც არაფერი არა აქვს, ის ვერც მამულისშვილი იქნება, არ შეიძლება დაინტერესებული იყოს სოციალურ წესწყობილებისა და კანონების დაცვაში და მაშასადამე არც მამულისშვილის უფლებანი უნდა ჰქონდესო. ამათ რობესპიერი უმტკიცებდა, რომ ღარიბიც მესაკუთრეა თუნდა თავის უშნო და დაგლეჯილ ტანისამოსისა, რომ მისთვისაც ძვირფასია პირადი თავისუფლება და სიცოცხლე, რომელთაც კანონები მფარველობს, და რომ, მაშასადამე, ისიც დაინტერესებულია ამ კანონების დაცვის საქმეში. ღარიბიც ნამდვილი მამულისშვილია და ეროვნულმა კრებამ-კი პოლიტიკურ უფლებების მხრივ ერის მოღალატეს გაუთანასწორა: მართლაც, ღალატისთვის იყო დანიშნული სასჯელათ აქტიურ მამულისშვილის უფლებათა წართმევა; ასეთ უფლება-ახდისაც-კი იმედი ჰქონდა, ერთ დროს ყველა-

ფერი ეპატიებოდა, თუ სამშობლოს რამე თვალსაჩინო სამსახურს გაუწევდა. პატიოსანი ღარიბი მამულისშვილი-კი, მხსნელი რევოლუციისა, ასეთ დამნაშავეზე დაბლა დააყენა ეროვნულმა კრებამ. მერე ეს ღარიბი ხალხი ცუდის თვისების პატრონი მაინც იყოს!“... ხალხზე უფრო სამართლიანი, კეთილი არავინ არის, თუ, რასაკვირველია, უკიდურეს დაჩაგვრით არ არის გაბოროტებული; იგი დიდათ აფასებს სულ უბრალო ყურადღებას, უმცირესს სიკეთეს; იმისთვისაც-კი მადლობელია, თუ ცუდს რასმე არ უშვრები; მართალია, გარეგნობა მოუხეშავი აქვს, მაგრამ სამაგიეროთ გული წმინდა აქვს, გონება მიმხვედრი და ისეთი სიმტკიცე, რომლის მზგავსს ვერ იპოვნით მაღალ კლასებში, ხალხი მხოლოდ იმას თხოულობს, რაც მისთვის აუცილებელია, თხოულობს სამართლიანობას და მშვიდობიანობას. მდიდრები-კი მოწადინებული არიან ყველაფერი ხელში იგდონ, გაბატონდნენ. უსამართლობა მდიდრების საქმე და სამეფოა.. ხალხის ინტერესი საერთო ინტერესია, მდიდრებისა-კი—კერძო...”

რობესპიერის ამ სიტყვის დაბეჭდვის შემდეგ დიდი აგიტაცია გაიმართა და პეტიცია პეტიციაზე მოსდიოდა ეროვნულ კრებას—ნუ ღალატობთ თქვენგან მიღებულ დეკლარაციას, მიეცით თანასწორი პოლიტიკური უფლებანი ყველას განურჩევლად ქონებისაო.

„სამშობლოს მამანო, ეწერა ერთ პეტიციაში, მონები არიან ისინი, ვინც ემორჩილებიან მათგან არ შექმნილ ან არ მოწონებულ კანონებს. თქვენ თვითონ გამოაცხადეთ, რომ კანონი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთო ნების გამოხატვაო, და ერის უმრავლესობა-კი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებას. თუ არ დანიშ-

ნავთ დღეს, როცა მთელი ერი შეიქმნება კანონის შემქმნელი, თუ არ მოსპობთ ასეთ უსამართლო გაყოფას ერისას... სამშობლო საშიშ მდგომარეობაში იმყოფება. 1789 წელს 14 ივლისს (ბასტილიის აღების დღე) პარიზში იყო 300 ათასი შეიარაღებული კაცი; აქტიურ მამულას-შვილთა რიცხვი კი 80 ათასამდგა. შეადარეთ ეს ორი რიცხვი და თვითონ განსაჯეთ“.

მიუხედავად ყველა ამისა დემოკრატიული პარტია 1791 წლის ივნისამდე უმცირესობას შეადგენდა პარიზშიაც კი. ამ უმცირესობაში რესპუბლიკელები სულ მცირე ნაწილს შეადგენდნენ, და შესაძლებელია ეს კარგა ხანს დარჩენილიყო აგრე, რომ დემოკრატიულ და რესპუბლიკურ მოძრაობასათვის ხელი არ შეეწყობოთ თვით მეფეს, ძველ წეს-წყობილების მომხრეებს და ევროპის გვირგვინოსნებს, რომელნიც შიშით და ძრწოლით შესცქეროდნენ საფრანგეთის ერის განთავისუფლებას ძველ მეფობის აუტანელ უღლისაგან.

საზღვარ-გარედ გაქცეული არისტოკრატები ინტრიგების ქსელს აბამდნენ, სადაც კი შეიძლებოდა. თხოულობდნენ დახმარებას ევროპის სახელმწიფოთა მთავრობისაგან, ამავე დროს მეფას მთავრობა თან და თან სტოვებდა პარიზს და მიდიოდა მათთვის უფრო საიმედო ადგილებზე, ხალხი ეჭვმა შეიპყრო: მას ესმოდა არისტოკრატების ცდის ამბავი, ხედავდა მეფას ნათესავების წასვლას და ეშინოდა თვითონ მეფე-დედოფალიც არ წასულიყო ხალხის მისამართად. ეს შიში გადაედო ეროვნულ კრებასაც, რომელმაც შემდეგი დადგენილება მოახდინა: „მეფე, პირველი მოხელე სახელმწიფოსი, აგრეთვე დედოფალი და ტახტის მემკვიდრეც ოცდა-ათ ვერსტზე მეტს ვერ მოშორდებიან იმ

ადგილს, სადაც ეროვნულ კრებას აქვს სხდომები; როცა სხდომები არ არის, ყველგან შეუძლიანთ ყოფნა მთელ საფრანგეთში. თუ მეფე საფრანგეთიდან გავიდა და საკანონმდებლო დაწესებულების მოწვევის შემდეგ არ დაბრუნდა თავის ადგილს, მეფობაზე უარს ამბობს საბოლოოდ“.

ხალხის თვალში კიდევ ბევრი თავისუფლება დაუტოვეს მეფეს და როცა ამ უკანასკნელმა პარიზიდან სენ-კლუში მოინდომა წასვლა, ხალხი აღელდა და არ გაუშვა—მეფე ნამდვილ ტყვედ გადაიქცა.

არისტოკრატების ინტრიგებმა და ევროპის გვირგვინოსნების მტრობამ უფრო გაბედული დემოკრატიული მოძრაობა შეჰქმნა საფრანგეთში. მაგრამ ეს მოძრაობა ერთგვარი არ არის; აქაც სხვა-და-სხვა მიმართულებაა, რამაც შემდეგ დემოკრატიულ პარტიის განაწილება გამოიწვია.

რობესპიერი ადგა მხოლოდ შინაურ პოლიტიკას, შედარებით ზომიერს და შორს ვერ გამჰქრეტს. უმრავლესობა უფრო გაბედულ და ვრცელ პროგრამის გზას დაადგა: ამ მიმართულების წარმომადგენელთ კარგად ესმოდათ, რომ თუ ევროპის გვირგვინოსნებმა განიზრახეს შეერთება საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, რევოლიუციაც შესაფერ გზას უნდა დასდგომოდა—განთავისუფლების აზრები გაეცრცელებინა ევროპის ერებში და გვირგვინოსნების კავშირის წინააღმდეგ ერთა კავშირი დაეყენებინა. რევოლიუციის საქმე მარტო ფრანგების განთავისუფლება კი არ იყო ამ დემოკრატების თვალში, არამედ მთელის კაცობრიობისა ან განათლებულ კაცობრიობის, ევროპის მაინც.

ჯერ კიდევ 1790 წელში ქადაგებდა ერთი გაზე-

თი—„მეფის მკვლელთა ბატალიონები შევადგინოთ ევროპის მონარქების წინააღმდეგ“, და 1791-ში კი იგივე გაზეთი („პარიზის რევოლიუციები“) გატაცებით და მხურვალედ თხოულობდა ევროპაში სარევოლიუციო აზრების გავრცელებას: „მეფეებისათვის ასე საბედისწერო სიტყვა „რევოლიუცია“ მიუხედავად გვირგვინოსნების ყოველგვარ ღონისძიებისა, მივიდა ხალხის ყურამდე. უკანასკნელ განკითხვის დღის ხმა გაისმა ევროპის ოთხსავე კუთხეში, მონობის საფლავის სიღრმეში გაიგონეს ეს ხმა; იღვიძებენ, იბერტყენ ცრუმორწმუნეობის მტვერს; ჰგლეჯენ სუდარას და სინათლეს ხედავენ. თითქმის ყველა ფეხზე წამოდგა, ერთმანეთს უცქერიან და უკვე განცვიფრებული არიან, ამდენ საუკუნოების განმავლობაში როგორ ვიყავით განრთხმული სამეფო ტახტისა და მემამულეთა ფეხთა ქვეშო. ყველამ საფრანგეთისაკენ იბრუნა პირი, რადგან აქედან მოვიდა მათი გამღვიძებელი ხმა. აქ ბრწყინავს სავსებით ის ნათელი დღე, რომლის განთიადსაც ისინი ხედავენ... მეფენი ძრწიან—კაცობრიობა თავისუფლდება და ანგარიშს მოგვთხოვენო.. ერები საფრანგეთის მხარეზე არიან... დღეს ხალხი აღარ ებრძვის ხალხს. რადგან აქამდე მეფენი შეთახმებული იყვნენ ხალხთა დასაჩაგვრელად, დღეს ერები შეთანხმდნენ, რომ ტახტიდან ჩამოაგდონ მტარვალები“.

საფრთხე რევოლიუციას გარედან მოელოდა და სწორედ ამან გამოიწვია საერთაშორისო სარევოლიუციო პროპაგანდა; ზოგი უკვე მსოფლიო რესპუბლიკაზე ოცნებობდა. როგორც დავინახავთ, ამავე გარემოებამ, გვირგვინოსნების შეთქმულებამ რევოლიუციის წინააღმდეგ გამოიწვია საფრანგეთის რესპუბლიკა.

სანამ ლუი მეთექვსმეტე უკანასკნელად სცდიდა გაქცევას საფრანგეთის მტრებთან, რომ შემდეგ ბოლო მოეღო რევოლიუციისათვის, საფრანგეთში უკვე არსებობდა რესპუბლიკური პარტია.

რესპუბლიკანისმი არის ლოდიკური შედეგი მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიისა, ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა. მაგრამ ასეთი დასკვნა არ გამოუყვანიათ არც ფილოსოფოსებს, რომელნიც ერთხმად მონარხიის მომხრენი იყვნენ, რადგან ხალხი უვიცი და მეფის ერთგული იყო, არც 1789 წლის მოღვაწეთ იმავე მიზეზების გამო; გარდა ამისა თვით ლუი მეთექვსმეტე ხალხის საყვარელი პირი იყო.

სანამ ეს მეფე რევოლიუციის მომხრედ მიაჩნდათ, სანამ შესაძლებელად მიაჩნდათ იგი როგორც ხელმძღვანელი ახალ საფრანგეთისა, არც რესპუბლიკური პარტია იყო; მაგრამ როცა ლუი XVI წინააღმდეგა ეროვნულ კრების იმ ღონისძიებათ, რომელნიც სასულიერო წოდების წინააღმდეგ იყო მიმართული, როცა 1790 წლის დასასრულს უცხოელ მეფეებს შეუერთდა საფრანგეთის ერის წინააღმდეგ, გაჩნდა იდეა მეფობის მოსპობისა და დაიბადა რესპუბლიკური პარტიაც.

მაგრამ მეფის ასეთი გადადგომა ხალხისთვის ვერ იყო სავსებით თვალსაჩინო და ეს ხალხი მეფობას არ გადაუდგა; მას არა ესმოდა რა რესპუბლიკელებისა და არც თანაუგრძნობდა მათ.

მეტი წილი დემოკრატებისა საშიშ გიჟობად სთვლიდნენ რესპუბლიკაზე ლაპარაკს, როცა ხალხი, მათის შეხედულობით, ისე უვიცი და შეუგნებელი იყო, და რადგან თვითონ ხალხს სურდა მეფობა, ამათი პოლიტიკა იყო მეფე სწორე გზაზე დაეყენებიათ ან ცუდის

ჩადენის ნება არ მიეცათ, თუნდა ფიზიკურ ძალდატანებითაც.

რესპუბლიკელების პარტია, მოკლებული გლეხებისა და პარიზელ მუშების თანაგრძნობას, რიცხვით მცირეა; რესპუბლიკელები დემოკრატიული პარტიის უკიდურესი მემარცხენენი არიან.

მაგრამ ეს პარტია თანდათან ფეხს იკიდებს ზოგი „სახალხო საზოგადოებათა“ საშუალებით, ზოგიც საერთაშორისო პროპაგანდით. იგი გრძნობს, რომ ლოლიკა და მომავალი მის მხარეზეა; იგი ელის, რომ მეფობის რომელიმე დიდი და ყველასთვის თვალსაჩინო შეცდომა თვალს აუხელს საზოგადოებას.

ეს მოლოდინიც გამართლდა: მეფე პარიზიდან გაიქცა.

მეფის გაქცევა და დატყვევება.

უკანასკნელი მეფე საფრანგეთისა ლუი XVI თავის თავად სუსტი, უხასიათო და უნიჭო პიროვნება იყო, მაგრამ რევოლიუციისა და რესპუბლიკის პარტიის ისტორიაში მას დიდი ადგილი უკავია და ეს ადვილად გასაგებიც არის: ლუი მეფექვსმეტე მეფე იყო, საფრანგეთის ხალხი ისე შეჩვეული იყო მეფობას, მას ისე შესისხლხორცებულნი ჰქონდა მეფის ერთგულება, რომ უმისოდ თავის თავი ვერ წარმოედგინა და როცა რევოლიუცია მოახდინა და ახალი წესწყობილება შემოიღო, სათავეში ისევ მეფე დასვა. ცხადია, რომ ლუი XVI-ეს ამდენი თუ იმ პოლიტიკას უთუოდ დიდი მნიშვნელობა

ექმნებოდა ახალ წესწესობილების განმტკიცებასა თუ შეფერხებაში. მირაბო, რობესპიერი და სხვა მოღვაწენი რევოლუციისა შეუდარებლად მაღლა იდგნენ ისეთ პატარა კაცუნაზე, როგორც ლუი ბურბონი იყო, მაგრამ „იმათი ფსიხოლოგიის ცოდნა ისე აუცილებელი არ არის რევოლუციის საზოგადო ხასიათის გასაგებად, როგორც ლუი მეთექვსმეტეს ხასიათის გაცნობა“.



მირაბო.

საფრანგეთის მეფე ლუი მეთექვსმეტე ისე სულელი არ იყო, როგორც ბევრს ეგონა, მაგრამ არც მახვი-

ლი გონება ჰქონდა და რაც უმთავრესია, მოკლებული იყო ხასიათს, ნების ძალას: ადვილად ემორჩილებოდა სხვის გავლენას, მაგრამ არც ერთი გავლენა არ ყოფილა ხანგრძლივი. მეფე მუდამ რყევაში იყო და ვერ მოახერხა ვერც ძველ მეფედ დარჩენა და ვერც ახალ წესწყობილებასთან შერიგება-შეთვისება. ერთი მთლიანი გეგმა მოქმედებისა ვერ შეედგინა; ცბიერობდა, სტყუოდა და... ნადირობდა, რომ მოკლე დროით მაინც თავი დაეხწია თავის მომაბეზრებელ სახელმწიფო საქმეებისათვის.

მიუხედავად ყველა ამისა ლუი მეთექვსმეტეს ერთი ძლიერი და მტკიცე გრძნობა ჰქონდა, გრძნობა სარწმუნოებრივი: ღრმად მორწმუნე კათოლიკე იყო და წრფელის გრძნობითა და მოწიწებით ასრულებდა სარწმუნოების ყოველ წესს. და რევოლიუციამ აქაც არ მოუსვენა საფრანგეთის მეფეს: როგორც ვიცით, სასულიერო წოდება, მრავალრიცხოვანი და უამრავლ უპირატესობით აღჭურვილი, აუტანელ ტვირთად აწვა საფრანგეთის ხალხს და, რასაკვირველია, რევოლიუციით წელში გამართულმა ხალხმა მოინდომა ამ ტვირთის მოშორება. 1790 წელს, 12 ივლისს ხალხის წარმომადგენლების დადგენილებით სასულიერო წოდება სამოქალაქო მოხელეობად იქცა და საერო მთავრობას დაუმორჩილდა—რომის პაპს წაერთვა უფლება საფრანგეთის სარწმუნოების საქმეში ჩარევისა. ასეთის ცვლილებით მეტად უკმაყოფილო იყო პაპი და მთელი მაღალი სამღვდლოებაც და მოახსენეს მეფეს, საუკუნოდ წაიწყმედ სულს, თუ ასეთ საშინელ ცვლილებას დააკანონებო. მეფე იძულებული იყო დაემტკიცებია, მაგრამ თავის რწმენისა და სინდისის წინააღმდეგ: იგი მართლა დარ-

წმუნებული იყო, რომ სულის წასაწყმედი საქმე ჩაი-
დინა და გადაწსყვიტა საბოლოოდ ყოველივე კავშირი
გაეწყვიტა რევოლიუციასთან და აღედგინა შეურაცყო-
ფილი მეფობა და შელახული სარწმუნოება. პირდაპირი
შოქმედება, აშკარა შებრძოლება ვერ გაბედალუი XVI-მ
და ცბიერობის გზას დაადგა. შესდგა მთელი შეთქმუ-
ლება: მეფე და მისი ოჯახი უნდა გაპარულიყო პარი-
ზიდან, მეფის ცოლისძმას აესტრიის იმპერატორს სამხე-
დრო დემონსტრაცია უნდა მოეხდინა საფრანგეთის საზ-
ღვარზე მამულის შვილების შესაშინებლად და ამ დროს
ლუი XVI-ე მეფისთვის თავდადებულ გენერლის ბულიეს
ჯარით პარისში უნდა დაბრუნებულიყო, ხალხის წარმო-
მადგენელები დაეტუსალებია თუ გაერეკა აქეთიქით და
ისევ ძველი წესწყობილება აღედგინა. რომ უფრო მოე-
ტყუილებინა საფრანგეთის ხალხი და თავისი გაპარვა
უზრუნველ ეყო მეფე დაღის ცბიერებითა და ხერხით
მოიქცა: ბრძანება გაუგზავნა საფრანგეთის ელჩებს შეე-
ტყობინებიათ ევროპის ხელმწიფეებისათვის, რომ საფ-
რანგეთის მეფე ბედნიერია თავის ხალხის ბედნიერებით,
რომ მან სიამოვნებით შეჰფიცა ერთგულება ხალხის
წარმომადგენლების მიერ შემუშავებულ კონსტიტუციას,
რომ ცილის მწმებელია, ვინც წინააღმდეგს ამბობს და
ავრცელებს ხმას, ვითომც მეფე ტყვე იყოს თავის ხალ-
ხისა; მეფის შეურყვევლი გადაწყვეტილებაა მთელის
თავის შეძლებით ემსახუროს კონსტიტუციას და დაიცვას
იგი.

საერო კრებამ რომ ეს ამბავი შეიტყო, მის აღტა-
ცებას საზღვარი არა ჰქონდა და მაშინვე საგანგებო
დებუტაცია გაუგზავნეს ულრმეს მადლობის გამოსაცხა-
დებლად. „დიდათ ვმადლობ ხალხის წარმომადგენლებს

ამ სამართლიან ქცევისათვის; ჩემი გულის ნადების წაკითხვა რომ შეეძლოს საჯრო კრებას, საბოლოოდ დარწმუნდებოდა, რომ იქ მხოლოდ ერის სრულ ნდობის ღირსი გრძნობები არისა“, უთხრა მეფემ დეპუტაციას.

მოსტყუდნენ ხალხის წარმომადგენლები და ლუი XVI-ემაც მოახერხა გაპარვა, მაგრამ თვით ხალხი ფხიზლობდა: გზაზე (ვარენში) იცნეს გაპარული მეფე, დააპატიმრეს და 25 ივნისს პარიზში დააბრუნეს დედოფლითა და შვილებით.

პირველად რომ მეფის გაქცევის ამბავი შეიტყო ხალხმა, ჯერ შეშინდა და შემდეგ-კი მრისხანებამა და გულის წყრომამ მოიცვა. მოსალოდნელი იყო უცხოელებისა და მეფის მომხრე თავად-აზნაურობის შენოსევა და სწორედ ამან გამოიწვია პირველი შიში, მაგრამ მალე ისევ სიმტკიცე და მხნეობა გამოიჩინეს: ყველა მზად იყო სისხლი დაეღვარა მოპოვებულ თავისუფლებისა და საბოლოოს დასაცველად. მეფე რომ დაატყვევეს და პარიზში მიიყვანეს, ხალხი მაშინვე დამშვიდდა: მართალია, გულის წყრომა არ დამცხრალა, ლუი XVI-ე დაწნაშაღე იყო ერისა და კანონის წინაშე, მაგრამ საფრანგეთი ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა იმ აზრს, რომ უმეფოდ შეუძლია არსებობა, და მეფის გაქცევის ბრალს მხოლოდ მის მრჩევლებსა და ახლობლებს სდებდა.

მიუხედავად ამისა მეფის გაქცევამ მეტად ღრმა კვალი დასტოვა ერის გრძნობა-გონებაში და მოამზადა ნიადაგი რესპუბლიკის დაარსებისათვის. და ეგრეც უნდა ყოფილიყო:

1791 წ. ივნისიდან ამავე წლის 14 სექტემბრამდე, როცა ლუი XVI-ეს ისევ დაუბრუნეს ტახტი, ე. ი. თითქმის სამი თვის განმავლობაში საფრანგეთი ფაქტიურად რესპუბლი-

კა იყო — არჩეული წარმომადგენლები განაგებდნენ სახელმწიფო საქმეებს მეფის დაუკითხავად, რომელიც ამ ხნის განმავლობაში თავის ბედის გადაწყვეტას ელოდა. ფრთხილ დარაჯებით გარშემორტყმული; და როცა 1792 წლის აგვისტოში ლუი XVI-ე ისევ შეუძლებელი გახდა ახალ საფრანგეთისთვის, მეფობას საბოლოოდ გამოეთხოვენ, რაკი გამოცდილება ჰქონდათ უკვე უმეფოდ ცხოვრებისა.

მეორე მხრივ მეფის გაქცევამ ბუნებრივად გამოიწვია რესპუბლიკელების დემონსტრაცია და რესპუბლიკურ გრძნობების გაძლიერება: მართალია, საერო კრების წევრთაგან არავის არ მოუთხოვია მეფის გადაყენება და რესპუბლიკის დაარსება, პირ-იქით, ყველას ეშინოდა, რომ მათთვის რესპუბლიკის მომხრეობა არ დაეწამებიათ. მაგრამ საერო კრება ამ მხრივ ვერ იყო ნამდვილი წარმომადგენელი მთელ საფრანგეთისა: პარიზსა და პროვინციებშიც შედარებით ძლიერი რესპუბლიკური მოძრაობა გამოიწვია მეფის ორპირობამ და რესპუბლიკელების პარტია დღითი დღე ძლიერდებოდა. სიცოცხლით სავსე და მმოძრავი პარიზელები სულ მოკლე ხანში შეურიგდნენ უმეფობას და მთელ პარიზში საკვირველი მშვიდობიანობა და წესიერება იყო: პარიზი გრძნობდა თავის ძალასა, მეფის გაქცევის გამო წარბი არ შეუხრია და ჩვეულებრივ ცხოვრებას განაგრძობდა.

სახალხო კლუბებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს და სცადეს რესპუბლიკის სასარგებლოდ გამოეყენებიათ პარიზელების სულიერი განწყობილება. ამ რესპუბლიკურ მოძრაობას სათავეში უდგა ეგრედ წოდებული კორდელიერების კლუბი. 21 ივნისს, მეფის გაქცევის დღეს,

კლუბმა გააკრა მთელ ქალაქში ცნობილი აფიშა, სადაც „მტარვალ მეფეებს“ სიკვდილს უქადიდნენ. აფიშა იწყებოდა შემდეგ შინაარსის ლექსით:

„მოიგონეთ, რომ მარსის ველზე, ამ ბრწყინვალე საკურთხეველზე, ლუიმ ერთგულება შემოგვეფიცა; ხალხსა და მეფის შორის ასეთი პირობა იყო: თუ ფიცს გატეხდა მეფე, ჩვენც თავისუფალი ვიყავით ფიცისაგან. თუ ფრანგებ შორის მოიპოვება ისეთი მოლალატე, რომ მეფობას იგლოვს და ბატონი სურს, მოკვდეს ის ცბიერი საშინელის სიკვდილით, არ დარჩეს მისგან არაფერი გარდა სახელისა, რომელიც უფრო საზიზღარი იქნება, ვიდრე თავისუფალ ადამიანის მიერ შეძლებულ მტარვალების სახელი“.

ამ ლექსის შემდეგ შემდეგი განცხადება იყო დაბეჭდილი: „თავისუფალი ფრანგები, წევრნი კორდელიერების კლუბისა, ატყობინებენ თანამემამულეთ, რომ რამდენიც წევრია კლუბში იმდენი მკვლელიცაა მტარვალისა, რომ ყველას ფიცი აქვს დადებული ხანჯლით გაუბონ გული, რომელიც კი გაბედავენ ხელი შეახონ ჩვენ საზღვრებსა და წესწყობილებას“.

ოთხის დღის განმავლობაში, ე. ი. სანამ მეფეს დაატყვევებდნენ და პარიზში მოიყვანდნენ, რესპუბლიკელების ცდა ნაყოფიერი იყო და პარიზელები თამამად გაიძახოდნენ: „მეფე აღარ გვესაჭიროება; საერო კრება და მინისტრები კმარან. რად გვინდა ისეთი აღმასრულებელი ორგანო (მეფე), რომელიც 25 მილიონი გვიჯდება, როცა შეგვიძლია ორ-სამ მილიონის მეტი არ დავხარჯოთ ამ საგანზედო“.

რესპუბლიკურ მოძრაობას მიემხრო ზოგი გაზეთებიც და კორდელიერების კლუბი ისე წათამამდა, რომ

ადრესი გაუგზავნა საერო კრებას და რესპუბლიკის და-
არსება მოითხოვა. ამ ადრესში სხვათა შორის ეწერა:
„...ისევ იმ მდგომარეობაში ვართ, როგორშიაც ბასტი-
ლიის აღების შემდეგ ვიყავით: თავისუფალი და უმე-
ფო. ეხლა ის უნდა ვიკითხოთ, საჭიროა თუ არა ისევ
მეფე დავიყენოთ... ადამიანის უფლებათა მეგობრების
საზოგადოებას არ შეუძლია დაჰფაროს ის აზრი, რომ
მეფობა, განსაკუთრებით მემკვიდრეობითი მეფობა, და
თავისუფლება ვერ მოთავსდებიან ერთად. შეიძლება ამ
საზოგადოებას არ მოეთხოვა მეფობის გაუქმება, რომ
მეფეს ფიცი არ გაეტეხა... ეხლა-კი გთხოვთ სამშობ-
ლოს სახელით ან ეხლავე გამოაცხადეთ რესპუბლიკა
ან მოიცადეთ და ისევ ნუ დაადებთ ერთ-მთავრობის
ბორკილს უმშვენიერეს სახელმწიფოს, სანამ ამ საგანზე
თავის აზრს არ გამოსთქვამენ ყველა ოლქები და ამომ-
რჩევლები“.

რესპუბლიკელების სიტყვიერმა თუ წერილობითმა
მოქმედებამ მონარქიის მომხრეებიც აამოძრავა და გაჩა-
ლდა პოლემიკა. პოლემიკაში ჩაერია ამ დროის უდიდე-
სი ფილოსოფოსი კონდორსე, მოწაფე და მემკვიდრე
მეთვრამეტე საუკუნის ენციკლოპედიისტებისა. „ჭეშმა-
რიტების მეგობართა საკრებულო“-ში რესპუბლიკელებ-
ის მანიფესტაცია გაჰმართეს 8 ივლისს (1791) და აქ
წარმოსთქვა კონდორსემ შესანიშნავი აპოლოგია რეს-
პუბლიკისა: საფრანგეთი მოულოდნელად განთავისუფ-
ლდა იმ ბორკილის ნაშთიდან, რომელსაც ფრანგები
მხოლოდ თავის სარგებლობისა და გულკეთილობის მი-
ზეზით ატარებდნენ, და ეხლა დროა განესაჯოთ, საჭი-
როა თუ არა ფრანგების თავისუფლებისათვის ისევ მეფე

იყოლიონ. კონდორსე მჭერმეტყველებით, გონება-სი-
მანვილით ამტკიცებს რესპუბლიკის უპირატესობას.

პარიზს არ ჩამორჩენია პროვინცია. ბევრ კუთხი-
დან მოუვიდა საერო კრებას პეტიცია თუ ადრესი და
თხოულობდნენ მეფობის გაუქმებას. „ნამდვილ რომა-
ელებს რომ დავმზგავსებოდით, გვაკლდა სიძულვილი
მეუისადმი და მისი განდევნა. პირველი უკვე შევიძი-
ნეთ, მეორეს თქვენგან მოველით“-ო, სწერდნენ მონ-
პელიეიდან საერო კრებას. პროვინციის ხმებით გამხნე-
ვებული პარიზელი რესპუბლიკელები მეტის ენერგიით
შეუდგნენ პროპაგანდას, მანიფესტაციების გამართვას,
ადრესების წერას. კონსტიტუციონურ სამეფოს მომხრე-
ნი და საერო კრება მეტად უკმაყოფილონი იყვნენ ამ
მოძრაობისა და ყოველ ღონეს ღონობდნენ მის შესა-
ჩერებლად, და როცა 1791 წლის 17 ივლისს, შემ-
დეგ საერო კრების დადგენილებისა, რომლის ძალით
ლუი XVI-ე უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი გაპარ-
ვაში, რესპუბლიკის მომხრეებმა დიდი მანიფესტაცია
გაჰმართეს მარსის ველზე, საერო კრებამა და პარიზის
მერმა სამხედრო წესი შემოიღეს პარიზში და სამშო-
ბლოს საკურთხეველი, მარსის ველზე ამართული, რეს-
პუბლიკელების სისხლით შეიღება. რესპუბლიკა და დე-
მოკრატია მეტად აზინებდა ახლად გამარჯვებულსა და
გაბატონებულ ბურჟუაზიას და დასაწყისშივე მოუხდომა
ჩაკვლა დემოკრატიულ-რესპუბლიკურ მოძრაობას. 1791
წლის 17 ივლისის დღე შესანიშნავი ისტორიული დღეა:
ეს იყო პირველი აშკარა გალაშქრება ხალხის წინააღ-
მდეგ, იგი პირველი შესანიშნავი აქტია უკვე დაწყე-
ბულ კლასთა ბრძოლისა. მარსის ველზე მომხდარ შე-
ტაკებიდან იწყება განხეთქილება 1789 წლის მოღვა-

წეთა შორის: ისინი ორ პარტიად გაიყვნენ. მართალია, ერთიცა და მეორენიც თავიანთ თავს მამულის შვილებსა და პატრიოტებს უწოდებენ, მაგრამ ორი მოწინააღმდეგე პარტიის არსებობა უკვე ფაქტია—ერთი წმინდა ბურჟუაზიულია, რომელიც მოწადინებული იყო, რომ ხალხის გამარჯვებით მარტო მას ესარგებლა და ძველ წესწყობილების ნანგრევებზე მარტო თვითონ გაბატონებულიყო, და მეორე დემოკრატიული, რომელიც ხალხის ნამდვილ უფლობის, სუვერნიტეტის დამყარებას სცდილობდა.

საკანონმდებლო კრება.

1791 წ. 4 სექტემბერს ლუი მეთექვსმეტე განათავისუფლეს პატიმრის მდგომარეობისაგან. 14 სექტემბერს მეფე საერო კრებაში მივიდა, ერთგულება შეჰფიცა ახალ წესწყობილებას და პატივება ითხოვა. საერო კრებამ აღტაცებულის „მეფეს გაუმარჯოს“-ით გაცილა შერიგებული ლუი მეთექვსმეტე და ყველა განხარებული იყო, რომ ეს მძიმე საქმე ასე მშვიდობიანად დასრულდა.

საფრანგეთის მეფე ეხლაც სტყუოდა: გარეგნად ერთგულება შეჰფიცა კონსტიტუციას, სიხარულსაც აცხადებდა ხალხის წარმომადგენლებთან შერიგების გამო, მაგრამ გულში კი ისევ ძველი მეფე დარჩა—ძველის წესწყობილების თაყვანის მცემელი და მართლმორწმუნე კათოლიკე. და ეს იყო მიზეზი, რომ ლუი მეთექვსმეტეს დაღუპვა აუცილებელი გახდა ახალ საფრანგეთისათვის.

საერო კრებამ დაამთავრა თავისი საქმე—შეიმუშავა კონსტიტუცია საფრანგეთისათვის და 1791 წელს 30 სექტემბერს დაიშალა, რომ ადგილი დაეთმო ახალ დაწესებულებისათვის, რომელსაც სახელად საკანონმდებელ კრება ერქვა.

საერო კრების ღვაწლი დიდი და დიდებულია: მართალია, საერო კრების წევრნი ძველის წესის თანახმად იყვნენ არჩეულნი: ისინი სამ წოდების მიერ იყვნენ არჩეულნი ცალკ-ცალკე, მაგრამ რადგან მესამე წოდების წარმომადგენლნი რაოდენობით დიდათ სჭარბობდნენ დანარჩენებს, არისტოკრატია და სასულიერო წოდება დამარცხდნენ და, თუმცა ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილება არ დამყარებულა, ძველ წესთან შედარებით საფრანგეთის სახელმწიფომ ძირითადი ცვლილება განიცადა: „დამიანისა და მამულის შეილის უფლებანი“ მთავარი საქმეა საერო კრებისა; იგი დაედო საფუძვლად ახალ წესწყობილებას და საფრანგეთი უფლებრივი სახელმწიფო შეიქნა: მეფე, კანონმდებელი და მბრძანებელი, მხოლოდ აღმასრულებელი ორგანო გახდა; კანონმდებლობა ხალხის წარმომადგენელთა ხელში გადავიდა; დაკანონდა თანასწორობა ყველა ფრანგებისა, გაუქმდა წოდება, თავად-აზნაურობის პრივილეგიები საბოლოოდ მოისპო; დაკანონდა წერისა და სიტყვის თავისუფლება; სამართალი ადმინისტრაციას მოშორდა; ხელობა და ვაჭრობა განთავისუფლდა შემბორკველ მზრუნველობისაგან და სხვა.

დიდი და ძირითადი ცვლილება განიცადა საფრანგეთმა, მაგრამ, როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, დემოკრატიული წესწყობილება არ დამყარებულა: მართალია კანონმდებლობა ხალხის წარმომადგენლების ხე-

ლში გადავიდა, მაგრამ რაკი საყოველთაო საარჩევნო უფლება არ იყო შემოღებული, ეს სახალხო წარმომადგენლობა ქონების პატრონთა წარმომადგენლობად გადაიქცა. ამიტომაც პირველი საკანონმდებლო კრება, რომელიც 1791 წლის 1 ოქტომბერს შეიკრიბა, შესდგებოდა ქონების პატრონების, ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან: ბურჟუაზია ფორმალურადაც და პრაქტიკულადაც გაბატონდა ძველ წესწყობილების ნანგრევებზე, მაგრამ ამ პირველ საკანონმდებლო კრების წმინდა ბურჟუაზიულ ხასიათს ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი: როცა დევუტატებს ირჩევდნენ, მეფე გაპარული იყო პარიზიდან და არჩევნებს დაეტყო გავლენა იმ მღვლვარებისა, რომელიც ამ გაპარვამ გამოიწვია: კრებანი მოჰყვნენ დემოკრატებიც, რომელნიც მეფეს უნდოთვალით უცქეროდნენ და რესპუბლიკის დაარსებას შეუძლებლად არ სთვლიდნენ.

ყოველ შემთხვევაში არც ამ დემოკრატებს მოუთხოვნიათ პირდაპირ და აშკარად რესპუბლიკის დაარსება: ესენი თანახმანი იყვნენ დროებით გადაეღოთ ასეთ მოთხოვნას პირდაპირი წარდგენა საკანონმდებლო კრებისათვის, რომ უკვე შეჩუშავებული და შეწოდებული კონსტიტუცია განემტკიცებიათ. დემოკრატების ასეთ ტაქტიკაზე უეჭველი გავლენა ჰქონდა მარსის ველზე მომხდარ სისხლის ღვრას (17 ივლისი, 1791 წ.). დემოკრატების და რესპუბლიკელების რიცხვი ჯერ კიდევ პატარა იყო და ეშინოდათ ამ სისხლის ღვრის ვანმეორებისა.

თუ პირდაპირ და საჯაროდ არ თხოულობდნენ რესპუბლიკას საკანონმდებლო კრების დემოკრატი წევრები, სამაგიეროთ ყოველ ღონეს ღონობდნენ, რომ მეფე და

ემცირებიანთ წინაშე ხალხის წარმომადგენლებისა. ჯერ კიდევ 5 ოქტ. დაადგენინეს საკანონმდ. კრებას, რომ მეფეს ჩამორთმეოდა „უდიდებულესობის“ ტიტული და ეწოდათ მისთვის მხოლოდ „ფრანგთა მეფე“ და მცფის როლი კრებაში ისეთივე ყოფილიყო, როგორც იყო კრების თავმჯდომარისა. კრების ასეთი დადგენილება, რასაკვირველია, დიდათ მოეწონათ რესპუბლიკელებს: „როცა ხალხი გაიგებს, რომ მეფე მხოლოდ მოხელეა, რომ მას უბრალოდ „ფრანგთა მეფეს“ უწოდებდნენ, რომ „უდიდებულესობის“ ტიტული მხოლოდ ღმერთსა და ერს ეკუთვნის; როცა ხალხი დაინახავს, რომ საკანონმდებლო კრება ნამდვილად ხმარობს იმ უპირატესობას, რომელიც მინიჭებული აქვს მას ბუნებისა და გონების კანონების მიერ, მეფის წამდვილ ფასსაც გაიგებს და სიმართლით დაფასებული მეფე საშიშარი არ არის“-ო, სწერს ერთი რესპუბლიკური გაზეთი.

თუ რესპუბლიკელებს შორის დიდი სიხარული გამოიწვია საკანონმდებლო კრების ხსენებულმა დადგენილებამ, მსხვილი ბურჟუაზია მალე მოვიდა გონს და ეს დადგენილება ისევ შეაცვლევინა კრებას. ასეთი რყევა პირველი საკანონმდებლო კრებისა დამახასიათებელია მთელი მის მოქმედებისთვის: ხან დემოკრატიულსა და რესპუბლიკურ გავლენას ექვემდებარება და მეფეს როგორც თავის ხელქვეითს ისე ეპყრობა, ხან ზომიერ ბურჟუაზიის სურვილებს მისდევს, მეფეს ძველის მოწიწებითა და პატივით ექცევა. მეორე შემთხვევაში საკანონმდებლო კრება თავის წევრთა დიდ უმრავლესობის წარმომადგენელი იყო და თუ ხანდახან დემოკრატიულ გზასაც დაადგებოდა, ამის მიზეზი დემოკრატიების ენერჯია და იმ უმრავლესობის სისუსტე იყო. ერთის სიტყვით,

პირველი საკანონმდებლო კრება სრულიად არ ფიქრობდა მეფობის მოსპობას, პირიქით, იგი გულწრფელად მოწადინებული იყო მეფესთან კარგი განწყობილება ჰქონოდა და არსებული ბურჟუაზიული კონსტიტუცია დაეცვა.

ახლაც მეფე ლუი XVI შეიქმნა მიზეზი, რომ ვერ მოხდა ის, რაც საკანონმდებლო კრების უმრავლესობას სურდა, და ეხლაც უმთავრესად რელიგია იყო მიზეზი მეფის გადადგომისა.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ახალი დამოკიდებულება, სასულიერო წოდების სრული დაქვემდებარება სამოქალაქო კანონებისთვის, როგორც ვსთქვით, დიდ წინააღმდეგობას იწვევდა მორწმუნე კათოლიკეთა და ძველ წესწყობილების მომხრეთაგან. სასულიერო პირები არ ემორჩილებოდნენ ახალ კანონს, უარზე იდგნენ ერთგულება შეეფიცათ კონსტიტუციისათვის და სცდილობდნენ ხალხი აეჯანყებიათ ახალ მთავრობის წინააღმდეგ საკანონმდებლო კრებამ სხვა ღონისძიებათა შორის შემდეგი დადგენილება მოახდინა: თუ რვა დღას განმავლობაში (29 ნოემბრიდან) სასულიერო პირნი ერთგულებას არ შეეფიცავენ „ერს, კანონსა და მეფეს“, სახელმწიფო ჯამაგირს მოუსპობს მათ და საექვო პირებად იქნებიან მიჩნეულიო. მეფემ არ დაამტკიცა კრების ასეთი დადგენილება და ამ გვარად ლუი XVI-მ მფარველობა გაუწია ახალ კონსტიტუციის შეურიგებელ მტრებს. მეფემ არ დაამტკიცა კრების მეორე დადგენილებაც, რომლის ძალით სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ ყველა ის თავად-აზნაურნი, რომელნიც განსაზღვრულ ვადაზე სამშობლოში არ დაბრუნდებოდნენ და თავს არ დაანებებდნენ შეთქმულობათა გამართვას საფრანგეთის

წინააღდგე. ლუი XVI-ეს გაბედულება უფრო შორსაც წავიდა: საიდუმლო წერილი მისწერა პრუსიის მეფეს— საუკეთესო საშუალება რევოლიუციონერების შესაშინებლად და „სასურველ წყობილების“ აღსადგენად ევროპის მეფეთა შეიარაღებული კონგრესი არისო. ხალხს რომ ეს ამბავი დროზე გაეგო, 1792 წლის 10 აგვისტომდე არ დააცდიდა ლუი XVI-ეს მეფობას და უფრო ადრე ჩამოაგდებდა ტახტიდან; მაგრამ მეფის ეს ახალი ღალატი არ იცოდნენ და უკიდურეს ღონისძიებისათვისაც არ მიუმართავთ ჯერ-ჯერობით.

ამასობაში ევროპის გვირგვინოსებს დიდი მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული საფრანგეთის საქმეების გამო: ლუი მეფე ქვეყნმეტეს საქმე ჩვენი საქმე არ არის, დღეს საფრანგეთის მეფეს აუჯანყდა ხალხი, ხვალ ჩვენ აგვიჯანყდებიან, თუ ენერგიული ღონისძიებანი არ ვიხმარეთ, საფრანგეთის ხალხი სასტიკად არ დავსაჯეთ და კანონიერ, ღვთისაგან მირონცხებულ მეფეს არ დავუშორჩილეთო. მეფეების ეს მოლაპარაკება და განზრახვები და გადახვეწილ თავად-აზნაურობის ინტრიგები პარიზში კარგად იცოდნენ და გულ-ხელ-დაკრებილი არ იყვნენ უცხოელების შემოსევის მოლოდინში: მტარვალნი მეფენი უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ მოპოვებული თავისუფლება წაგვართვან და მეფის ბორკილები ისევ გავვიყარონო, ჩვენც შეუერთდეთ დაჩაგრულ ხალხებს, ავუხილოთ მათ თვალი, თავისუფლება ვუქადავოთ, ძმობისა და ერთობის გემო გავაცნოთ და განკითხვის დღეც დაუდგებათ მტარვალებსო, გატაცებით მჭევრმეტყველობდნენ საფრანგეთის აღგზნებული მამულისშვილები. ომი ყველას სწყუროდა ამ დროს: მეფესაც, და თავისუფლების და მამულის მოტრფიალეთაც, რო-

მელნიც იმედოვნებდნენ თავისუფლების საბოლოო გან-
მტკიცებას იარაღით ხელში. ერთი კაცი იყო მხოლოდ
ომის წინააღმდეგი—რობესპიესი, შემდეგ რომ მთავარი
ხელმძღვანელი გახდა რევოლიუციისა: ომი ხეირს არ
დაგვაყრის; დავმარცხდებით თუ გავიმარჯვებთ, თავისუ-
ფლებას ბოლოს მაინც დავკარგავთო, ამტკიცებდა შორს
გამქვრეტი რევოლიუციონერი, და როგორც დავინა-
ხავთ, რობესპიერის წინასწარმეტყველება გამართლდა:
თავისუფლებისათვის დაწყებულ ომიანობიდან ნაპოლე-
ონის იმპერია დაიბადა.

რაკი ომი აუცილებელი იყო, მომზადებაც საჭი-
რო იყო ომიანობისათვის, მომზადება არა მარტო ტეხ-
ნიკური (ჯარისა და სურსათისა), არამედ პოლიტიკუ-
რიც: მეფე და სასახლე საექვონი იყვნენ, საექვონი
იყვნენ მეფის მინისტრებიც. საკანონმდებლო კრებამ
შეაშინა მეფე და ახალი მინისტრები დაანიშვნინა. რო-
ცა ძველ მინისტრების გადაყენებაზე იყო ლაპარაკი
კრებაზე, დებუტატმა ვერნიომ, სხვათა შორის, სთქვა:
„ამ ფანჯრიდან მოსჩანს სასახლე, სადაც ცბიერი მრჩე-
ველები გზას უბნევენ ვეფეს... საშინელება და შიშის
ზარი ხშირად გამოსულა ამ სახლიდან; კანონის სახელით
ეხლა უკანვე უნდა დაბრუნდეს. ვინც იქ ცხოვრობს,
კარგად უნდა იცოდნენ, რომ მხოლოდ მეფეა ხელ-შე-
უხებელი და ვერც ერთი დამნაშავე, ვინც უნდა იყოს
იგი, ვერ ასცდება მახვილს!“ ვერნიოს პირდაპირ დე-
ლოფალი მარია ანტუანეტა ჰყავდა სახეში, რადგან დე-
ლოფალი იყო სული და გული რევოლიუციის მოსასპო-
ბად მიმართულ შეთქმულებისა. რასაკვირველია, ვერ-
ნიოსებურა სიტყვები პატივსა და სახელს ვერ შეჰმატებ-
და სამეფო სახელს ხალხის თვალში.

ლუი მეთექვსმეტე იძულებული გახდა მინისტრებად აეყვანა საკანონმდებლო კრების მიერ ნდობით მოსილი პირები, როგორც მიგალითად როლანი იყო, თუმცა მინისტრებ შორის დიუმურიეც იყო, კაცი ნიჭიერი, მაგრამ დიდი ინტრაგანი და უპრინციპო, მხოლოდ თავის პირად ინტერესების მიმდევარი.

ახალი სამინისტრო მოწიწებითა და მორიდებით აღარ ითმენდა ევროპის გვირგვინოსნების საფრანგეთის საქმეებში ჩარევასა და 1792 წლის 20 აპრილს ფორმალურად ომი გამოუცხადეს ავსტრიის იმპერატორს.

პირველი შეტაკებები ფრანგების უცხოელ ჯარებთან ფრანგების დამარცხებით გათავდა და ხალხი ყველგან ღალატს ხედავდა: თუ მტერი იმარჯვებს, ეს იმიტომ, რომ შინ გამცემლები გვყავს, რომელნიც უცხოელებს მხარს აძლევენო. საკანონმდებლო კრებაც გაიტაცა ხალხის ამ სულიერმა განწყობილებამ და სასტიკი ღონისძიებანიც მიიღო: გადასახლება ყველა იმ სასულიერო პირებისა, რომელთაც კონსტიტუციას არ შეჰფიცეს, მეფის გვარდიის მოსპობა და 20 ათასი ჯარისკაცის დაბანაკება პარიზთან. მეფემ არ დაამტკიცა არც ერთი დადგენილება და მინისტრებიც დაითხოვა. პარიზელებიც აღელდნენ, დაბალი ხალხი ამოძრავდა და 20 ივნისს გაიმართა დიდი მანიფესტაცია, რომელიც მეფის სრულის დამცირებით გათავდა.

ხალხი დაიძრა სენტ-ანტუანის უბნიდან (პარიზის განაპირა უბანია) და ჯერ საკანონმდებლო კრებაში მივიდნენ პარიზელები და შემდეგ სასახლეს მიჰმართეს. სასახლის გარე კარები მაღე გაიღო, შიგნითი კარები კი მაგრა დაკეტილი დახვდათ. მაგრამ რაკი დაინახეს, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო, ლუ

მეთექვსმეტემ თვითონ გააღებინა კარები, სასახლის დარბაზი ხალხით აივსო და მეფე შიგ უშაგულში მოჰყვა. საკვირველია, რომ ლუი მეთექვსმეტემ, რომელიც ასე სუსტი იყო საზოგადოდ, ასეთ მომენტის დროს დიდი სიმტკიცე გამოიჩინა: დამშვიდებული ისმენდა ხალხის ყვირილს, მოსწრებულ პასუხებს იძლეოდა და როცა შეატყო, რომ მისი სიტყვები არ ისმოდა დიდ ხმაურობაში, წითელი ქუდი (რევოლიუციის ნიშანი) გამოართვა ერთ ახლო მდგომთაგანს და თავზე დაიხურა; შემდეგ ღვინო მოატანინა და ხალხის სადღეგრძელო დალია. გულუბრყვილო და ძველის დროდან მეფობას შეჩვეული ხალხი აღტაცებაში მოვიდა და მშვიდობიანად დაიშალა.

20 ივნისის ამბავი არ ყოფილა რესპუბლიკური დემონსტრაცია, ხალხს არ მოუთხოვნია მეფის გადაყენება, მაგრამ ეს დღე მაინც ღირსშესანიშნავია რევოლიუციის ისტორიაში: სცენაზე გამოვიდა დაბალი ხალხი, პროლეტარიატი, თავის ძალის შემგნები. ბურჟუაზიაც იმიტომ შეშინდა ასე 20 ივნისის დემონსტრაციით და ყოველი ღონე იღონა, რომ ამ დემონსტრაციის შთაბეჭდილება და მნიშვნელობა შეემცირებინა. საკანონმდებლო კრებამ გაჰკიცხა მანიფესტანტების მოქმედება და შეურიგდა მეფეს. მაგრამ საფრანგეთის მეფობის ხსნა მაინც შეუძლებელი შეიქნა. ევროპის გვირგვინოსნები 20 ივნისის ამბავის გაგების შემდეგ უფრო მეტის ენერგიით შეუდგნენ ომის საქმეს, რომ ლუი მეთექვსმეტეს უფლებანი აღედგინათ და გაბრაზებულმა ფრანგებმა საპასუხოდ სრულიად მოსპეს სამეფო ტახტი.

საფრანგეთ-ევროპის ომიანობის დაწყება ახალი ხანა საფრანგეთის დიდ რევოლიუციის ისტორიაში, გან

საკუთრებით რესპუბლიკურ პარტიის ისტორიაში: ა) ომი იყო, რომ რესპუბლიკელებს ჩაუგდო ხელში სახელმწიფოს ხელმძღვანელობა; ბ) რესპუბლიკის დაღუპვის მიზეზიც აქ იმარხება: იგი დაარსდა ომიანობის დროს და ომიანობის მიზეზით; რესპუბლიკა კი თავის თავად უთუოდ მშვიდობიანობაზე უნდა იყოს დამყარებული. რაკი ეს ასეა, გ) ომიც სამხედრო დიქტატურით, ნაპოლეონის იმპერიის დაარსებით უნდა გათავებულ იყოს.

მეზობლის დამხობა.

საკანონმდებლო კრების დიდი უმრავლესობა რესპუბლიკის წინააღმდეგი იყო და გულით სურდა მეფობა ხელუხლებელი დარჩენილიყო საფრანგეთში, მაგრამ მაინც იძულებული იყო მტრულად მოპყრობოდა ლუი XVI-ეს, უკანასკნელი იარაღი წაერთმია მისთვის, მეფის სახელი საბოლოოდ გაეტეხა და ამ გვარად მოემზადებია სამეფო ტახტის დაცემა.

მიზეზი საკანონმდებლო კრების ასეთ მოქმედებისა იყო, რომ საფრანგეთის მეფე ხელს უშვერდა უემოსეულ მტერს და სამშობლოს ხსნა მუუქლებელი იყო, თუ არ მეფის ხელ-ფეხ შეკვრით.

საკანონმდებლო კრებამ მოსპო მეფის მცველი გვარდია, რომ ლუი XVI-ეს არ შესძლებოდა წინააღმდეგობის გაწევა ხალხისათვის; თავისთვის კი 20 ბთასი შეიარაღებულ ჯარის-კაცის ყოლა დაადგინა პარტიის ძახლო, რომ საჭიროების დროს საკმაოდ ძალიან ჰყოლოდა მეფის შეთქმულებათა საწინააღმდეგოდ. ეს ჯარი უნდა შედგე-

ნილიყო მთელის ხალხის მიერ არჩეულ მოხალისეთაგან
და, მაშასადამე, იგი იქნებოდა მთელის ერის შეიარაღე-
ბული წარმომადგენელი, ჩვეულებრივ ჯარზე ბევრად
მაღალი თავის ზნეობრივ ავტორიტეტით.

მაგრამ ყველაზე საშიში სამეფო ტახტისათვის ის
გარემოება იყო, რომ საკანონმდებლო კრებამ გამოა-
ცხადა—„სამშობლო საშიშ მდგომარეობაში იმყოფე-
ბა“-ო. ეს უკიდურესი ღონისძიება გამოიწვია პრუსიის
მეფის მოქმედებამ: საფრანგეთმა მარტო ავსტრიას გა-
მოუცხადა ომი, მაგრამ პრუსიის მეფემ თავისი ჯარებიც
გავზავნა საფრანგეთის საზღვარზე „საფრანგეთში ანარ-
ხიის მოსასპობად და ერთ-მთავრობის აღსადგენად“. ამ
ამბავმა აამოძრავა და აღელვა მთელი ერი, საკანონმდებ-
ლო კრება გაიტაცა ერის ამ ამოძრავებამ და აღელვე-
ბამ და ეს გატაცება ძალაუნებურად მიმართული იყო
უფრო სასახლისა და მეფის წინააღმდეგ, ვიდრე გარეშე
მტრებისა. ყველა გრძნობდა, რომ წყარო საფრანგეთის
საშიშ მდგომარეობისა მეფე და მისი მრჩევლები იყვნენ.
დეპუტატი ბრისსო, მეტად ნიჭიერი და გავლენიანი
წევრი საკანონმდებლო კრებისა, პირდაპირ აჯანყებას
თხოულობდა მეფის წინააღმდეგ: „თქვენ გეუბნებიან,
რომ საშიში ავსტრიისა და პრუსიის მეფენი არიანო. მე
კი ვამბობ, რომ მთავარი ძალა ამ მტრებისა საფრანგე-
თის მეფის სასახლეშია და, თუ გვინდა მტრებზე გავიმარ-
ჯვოთ, ჯერ ეს ძალა უნდა დავამარცხოთ. გეუბნებიან
—იერიში მიიტანეთ განდგომილ მღვდლებზედო. მე კი
გირჩევთ—იერიშით მიღით სასახლეზე და ერთის დაკვ-
რით მოსპობთ სამღვდლოებასაც. გეუბნებიან—სდევნეთ
ამჯანყებელნი, შეთქმულები და მკვლევლებიო, მე კი
ვამბობდ—რომ თუ თქვენ იერიშით მიხვალთ სასახლეზე,

ყველა ესენი თავის თავად გაჰქრებიან. სასახლეა სულ და გული ჩვენის უბედურებისა; ერი სათამაშოა ამ სასახლისა; სასახლეშია მთელი საიდუმლოება ჩვენის მდგომარეობისა და პირველად აქ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს“.

ბრისოსთანა აღგზნებულ მამულიშვილების ზედგაღლენით იყო, რომ კრებამ „სამშობლო საშიშ მდგომარეობაში მყოფად“ გამოაცხადა და ამ გვარი განცხადება ცალიერი სიტყვა არ ყოფილა: მან ამცნო საფრანგეთის ერს, რომ მეფემ ვერ შესძლო ან არ ინდომა თავის დანიშნულების ასრულება—სამშობლოს დაცვა გარეშე მტრებისაგან და ამიტომ ერს მარტო თავის იმედი უნდა ჰქონოდა; საფრანგეთმა თვითონ უნდა იხსნას თავის თავი, რადგან მეფემა და მისმა მთავრობამ თავიანთი მოვალეობა ვერ შეასრულესო, აი რა დასკვნა გამოიყვანა საფრანგეთის ხალხმა საკანონმდებლო კრების დადგენილებიდან, რომ „სამშობლო საშიშ მდგომარეობაში იმყოფებაო“.

ამ დადგენილების შესაფერი ღონისძიებანიც მიიღეს: ყოველი მამულიშვილი, რომელსაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ჯარში ჩაეწერა და რაც კი იარაღი გააჩნდა, ადგილობრივ არსენალებში მიიტანა, რომ საჭიროების დროს ხალხის ხელმძღვანელებს შეგროვილ ჯარისათვის დაერიგებიათ. მთელი საფრანგეთი შეინძრა; არ დარჩენილა არც ერთი მიყრუებული კუთხე, არც ერთი გლენი, რომ გუთნისათვის თავი არ მიენებებოის, სასოფლო სამმართველოში არ მისულიყოს, რომ თავის თვალით ენახა და საკუთარის ყურით გაეგო სამშობლოს „საშიშ მდგომარეობაში ყოფნა“ და იქ ჰატარა სამეფროვანი დროშა—საფრანგეთის განთავისუფლების ნიშანი არ

ნიეჯოს. ორის წლის წინად—1789 წლის ივლისშიაც აზოდრავდა ხალხი და საფრანგეთის განთავისუფლების საქმე იხსნა განსაცდელისაგან; შემდეგ იგი დამშვიდდა, რადგან თავისი გამარჯვება საბოლოო ეგონა. გავიდა ორი წელიწადი; შინაურმა მტარვალეებმა—მეფემა და თავად-აზნაურობამ—უცხოეთის მტარვალი მეფენი მიუსია საფრანგეთს და საფრანგეთის ერიც ადგა, რომ ვაჟკაცური პასუხი გაეცა შემოსეულებისათვის. სადღა იყო წინანდელი დაბეჩავებული გლეხი, რომელიც სულ სამის წლის წინად ტყესა და გამოქვაბულში იმალებოდა ნამდვილ მონასავით და უკანასკნელ მოურავის წინ შეშინებული თრთოდა! ევროპის მეფეების წინ იდგა თავისუფალი მამულიშვილი და შეუპოვარი მებრძოლი, რომელმაც მხოლოდ მაშინ ჩააგო ხმალი ქარქაშში, როცა ევროპის მეფენი სასტიკად დაამარცხა და დასაჯა.

შემოსეული მტერი კი დარწმუნებული იყო, რომ პირველ შეხვედრისათანავე დაამარცხებდა მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ ბრბოს. კარის კაცებსა და გენერლებს ვერ წარმოედგინათ, რომ ხალხს შეეძლო რაიმე წინააღმდეგობის გაწევა მეფეების გაწვრთნილ ჯარებისათვის. ამიტომაც იყო, რომ პრუსიის ჯარის უფროსმა ბრაუნშვეიგის ჰერცოგმა სამხედრო მოქმედებას ცნობილი მანიფესტი წარუმიძღვარა საფრანგეთის ხალხის დასამშვიდებლად, ნამდვილად კი ამ მანიფესტმა დააჩქარა საფრანგეთის სამეფო ტახტის პირქვე დამხობა.

ბრაუნშვეიგის ჰერცოგი უცხადებდა საფრანგეთის ერს ავსტრიის იმპერატორისა და პრუსიის მეფის სახელით, რომ მან უნდა მოსპოს საფრანგეთში აჯანყება, ტახტისა და ეკკლესიის წინააღმდეგ მიმართული, დაუბრუნოს მეფეს თავისოფლება და აღადგინოს შელახუ-

ლი კანონი. „ვინც ფრანგთაგანი გაჰბედავს მათ უდიდებულესობათა ჯარის წინააღმდეგობას, სამხედრო წესით იქნება გასამართლებული და დასჯილი და მათი სახლკარი გადამწვარი... პარიზი დაუყოვნებლივ უნდა დაჰმო-რჩილდეს მეფეს... და თუ მეფის სასახლეს ხელი ახლეს ან მეფესა და დედოფალს სულ უმცირესი შეურაცყოფა შეაყენეს, სამაგალითო, საუკუნოდ სახსოვარი სასჯელი მოეღოს ქალაქს: სამხედრო ძალით სრულიად გავანადგურებთ... სამიგვიროდ, თუ პარიზის მცხოვრებნი ზემოდ აღნიშნულ მოთხოვნას შეასრულებენ, მათი უდიდებულესობანი ავსტრიის იმპერატორი და პრუსიის მეფე შუამდგომლობას გასწევენ მათ უდიდებულესობათა საფრანგეთის მეფე-დედოფლის წინაშე, რომ ჩადენილი დანაშაული აპატიონ. დასასრულ მათი უდიდებულესობანი მხოლოდ იმას სცნობენ კანონად საფრანგეთში, რაც მეფის ნაბრძანები იყო იმ დროს, როცა იგი სრულიად თავისუფალი იყო“.

ასეთ უგვან შინაარსის მანიფესტი გაუგზავნა ჰერცოგმა საფრანგეთის ხალხს, ორის წლის რევოლიუციით გამხნეებულს, მეფეზე და წარჩინებულ წოდებებზე ბრწყინვალედ გამარჯვებულს, თავისუფლებისთვის თავდადალებულს და მტარვალობისაგან განთავისუფლებულ სამშობლოს მოტრფიალეს. მოთმინების ფილა ძალზე ავსილი იყო და საფრანგეთის ერმაც საკადრისი პასუხი გასცა თავხედ პრუსიელ გენერალს: 1792 წლის 10 აგვისტოს შეიარაღებული პარიზელები და პროვინციებიდან შეკრებილი მოხალისენი მეფის სასახლეს მივარდნენ, აიღეს და იქაურობას მუსრი გაავლეს; მეფე-დედოფალმა კი საკანონმდებლო კრებას შეათარა თავი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აჯანყებულ ხალხს

ერთი გროშისაც არაფერი წაუღია და მიუთვისებია, თუმცა დამტვრევით კი ბევრი დაამტვრიეს, და ვისაც კი ქურდობაზე მოასწრეს, სასტიკად დასაჯეს.

სული და გული ამ აჯანყებისა პარიზის ქალაქის თვითმმართველობა და მისი მაშინდელი ხელმძღვანელი დანტონი იყო.

რაკი აჯანყებულმა ხალხმა გაიმარჯვა მეფის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, საკანონმდებლო კრება, ძალიანაც რომ სურვებოდა, მეფობას ვერას უშველიდა. მეფე-დედოფალი საკანონმდებლო კრების ლოჯაში ისხდნენ და იქიდან უგდებდნენ ყურს, თუ როგორ სწყდებოდა მათი ბედი. ხალხი დეპუტაციას დეპუტაციაზე უგზავნიდა კრებას და თხოულობდა მეფის გადაყენებას. ხანგრძლივ კამათის შემდეგ, როცა შეიტყეს, რომ სასახლე აჯანყებულების ხელში იყო და მეფის დარაჯები გაჟლეტილი, საკანონმდებლო კრებამ დაადგინა: აღმასრულებელ უფლების თავი—მეფე გადაყენებულ იქმნას თანამდებობიდან, სანამ მოწვეული არ იქნება ახალი სახალხო წარმომადგენლობა—ეროვნული კონვენტი და ეს კონვენტი არ გადასწყვეტს, რა ღონისძიებანია საჭირო ხალხის სუვერენობისა, თავისუფლებისა და თანასწორობის დასამყარებლად; ამასთანავე მეფე-დედოფალი „მძევლებად“ უნდა დარჩენილიყვნენ და ამისათვის პარიზის თვითმმართველობას გადასცეს, რომ კარგად ეგდო მათთვის თვალ-ყური. მეფე-დედოფალი დაამწყვდიეს ერთ განმარტოებულ კოშკში, საიდანაც მათი გაქცევა შეუძლებელი იყო.

ლუი XVI-მ რომ ეს დადგენილებანი მოისმინა, კრების ზოგ წევრებს უთხრა თურმე: „რასაც თქვენ ჩადინართ, არსებულ კონსტიტუციის წინააღმდეგი არისო“

მართალია, მაგრამ, ერთის ისტორიკოსისა არ იყოს, კიდევ უფრო წინააღმდეგი იყო კონსტიტუციისა ავსტრიელებისა და პრუსიელების მოწვევა ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგივე ისტორიკოსი ამბობს: გეტეს ნათქვამი, რომ დიდ რევოლუციების მიზეზი ყოველთვის მთავრობანი ყოფილან და არა ხალხიო, ზედ გამოჭრილია საფრანგეთის დიდ რევოლუციისათვისო. და მართალიც არის: მას შემდეგ, რაც ლუი XVI-მა და მარიანტუანეტამ ევროპის მეფეებთან შეთქმულება გაჰმართეს საფრანგეთის ერის წინააღმდეგ, ეს ერი იძულებული იყო სასტიკი ღონისძიებანი მიეღო მის სახლში მყოფ შინაურ მტრის წინააღმდეგ. ასე რომ არ ემოქმედნა, ხალხი არა თუ მოპოვებულ თავისუფლებას უნდა გამოთხოვებოდა, უცხოელების ბატონობაც მოელოდა. ხალხის მხრივ უკიდურეს ღონისძიების მოხმარება გამოიწვია მეფისა და მეფის მომხრე წარჩინებულ წოდებათა ღალატმა.

მეფე გადაყენებული და დატყვევებული იყო და საკანონმდებლო კრებას ახალ აღმასრულებელ ორგანოს შექმნისათვის უნდა ეზრუნა და იმავე 10 აგვისტოს დადგენილებით აღმასრულებელი უფლება გადაეცა ექვს მინისტრს, რომელნიც თვითონ კრებამ აირჩია და რომელთაც დროებითი აღმასრულებელი საბჭო დაარქვეს. სამართლის მინისტრად აირჩიეს 10 აგვისტოს აჯანყების მთავარი მოღვაწე დანტონი.

10 აგვისტომდე დანტონი მეტად საშიშ დემაგოგად იყო მიჩნეული და რევოლუციის მთავარი მოღვაწენი მას თავისიანად არ სთვლიდნენ. მიუხედავად ამისა პირველად ის აირჩია კრებამ აღმასრულებელ საბჭოს წევრად: ხალხის გმირი დანტონი, შესანიშნავი ორატორი და შორს გამქვრეტი გაბედული პოლიტიკოსი აუცილებელი იყო ახალ აღმასრულებელ საბჭოსათვის,

რომ ერთას მხრივ ხალხს ნდობა ჰქონოდა მისი და მეორე მხრივ, ევროპას დაენახა ერთსულოვნობა ყველა მამულის შეიღებისა, ზომიერები იყვნენ ისინი თუ ნამდვილი დემოკრატები.

დანტონი შეიქნა ხელმძღვანელი სარევოლიუციო მთავრობისა და ეს ხელმძღვანელობა მუდამ აზრიანი და გონიერი იყო. დანტონი იუსტიციის მინისტრი იყო, მაგრამ მთავარი ასპარეზი მის მოღვაწეობისა დიპლომატია იყო, რაშიაც მან დიდი ნიჭი და ხერხიანობა გამოიჩინა: იმის მოხერხებული იყო, რომ პრუსიის ჯარი უკანვე გაბრუნდა ისე, რომ საფრანგეთს არ შემოსეოდა.

საკანონმდებლო კრების გავლენა 10 აგვისტოს შემდეგ ერთობ შესუსტებული იყო და არც საკვირველია: ამ დღის რევოლუციო უიმისოდ და მის ნამდვილ სურვილის წინააღმდეგ მოხდა და რა კი აჯანყებამ გაიმარჯვა, ძალა და გავლენა აჯანყების მთავარ აღმასრულებლების ხელში გადავიდა, და ამთავრესი აღმასრულებელი კი პარიზის ქალაქის საბჭო იყო. გამარჯვების შემდეგ რევოლიუციის გზით არჩეული და შედგენილი პარიზის საბჭო ფრთხილ დარაჯად უდგა დემოკრატის ინტერესებს და სცდილობდა პირდაპირი გავლენა ჰქონებოდა საფრანგეთის მარაკა-გამგეობაზე: ხშირად მოხვლიდა შეტაკება საკანონმდებლო კრებასთან და ამ შეტაკებიდან გამარჯვებული გამოსულა, რადგან პარიზის შეიარაღებული ხალხი მასთან იყო, აღმასრულებელ საბჭოს მოქმედებაც შეუჩერებია, მაგალითად 1792 წლის სექტემბრის დღეებში, როცა გაბრახებული ხალხი, პარიზის საბჭოს ხელმძღვანელობით, არისტოკრატებსა და საეკვო პირებს ეცა და მუსრა გაავლო. ერთას სიტყვით, პარიზის საბჭო ფაქტურად დიდი მონაწილე გახდა საფრანგეთის შინაურ მართვა-კამგეობისა აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად; საკანონმდებლო კრება პარიზის საბჭოსთან შედარებით ნაკლებ გავლენიანი დაწესებულება შეიქნა.

ამგვარად, 10 აგვისტოს სახალხო აჯანყებას მოჰყვა მეფის გადაყენება, დროებით აღმასრულებელ საბჭოს დაწესება და პარიზის სარევოლიუციო საბჭოს შექმნა, მაგრამ ეს არ კმაროდა: დაბალი ხალხი იყო აჯანყების ნამდვილი ავტორი, დაბალმა ხალხმა დაღვარა სისხლი თავისუფლებისა და სამშობლოს დაცვისათვის და სულ უბრალო სამართლიანობა და ანგარიში მოითხოვდა, რომ გაესწორებინათ საერო კრების მიერ ჩადენილი უსამართლობა და შემოეღოთ საყოველთაო საარჩევნო უფლება. ეგრეც მოხდა: ათისა და თერთმეტ აგვისტოს დადგენილებით საკანონმდებლო კრებამ საარჩევნო უფლება მიანიჭა ყოველ სრულწლოვან ფრანგს (21 წლიდან), რომელიც კი მათხოვრობითა და მოწყალეობით არ სცხოვრობდა ან ხელზე მოსამსახურე არ იყო. ნამდვილი დემოკრატიები არ იყვნენ სავსებით დაკმაყოფილებული ამ დადგენილებით, რადგან ეს საყოველთაო საარჩევნო უფლება არ იყო პირდაპირი: ჯერ ხალხს ამომრჩევლები უნდა აერჩია და მერე ეს ამომრჩევლები ირჩევდნენ დეპუტატებს. მაგრამ წინანდელ საარჩევნო სისტემასთან შედარებით, როცა მხოლოდ ქონების პატრონს ჰქონდა უფლება არჩევისა, ახალი სისტემა დემოკრატიული იყო.

ლოუი XVI-ის გადაყენებისთანავე რესპუბლიკა არ გამოცხადებულა ოფიციალურად საფრანგეთში: 42 დღე კიდევ დროებითი წესი იყო, მაგრამ ნამდვილად კი სწორედ 10 აგვისტოდან საფრანგეთში რესპუბლიკური მართვა-გამგეობა დამყარდა და ამ დღიდან ახალი ხანა იწყება საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა.

მეფობის დამხობას მოჰყვა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ წესწყობილების დაცემა. უცხოელების შემოსევის შიშმა ხალხი ააჯანყა ლუი XVI-ს წინააღმდეგ, რომელსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა სამშობლოს მტრებთან. ხალხმა გაიმარჯვა, მეფე გადაყენებულ იქმნა და დემოკრატიული წესწყობილებაც დამყარდა.